



ლიტერატურული მესხეთი

№2 (218)
თებერვალი
2017 წელი
ფასი 40 თეთრი

გაგონების მესხეთი და წელი

“LITERATURULI MESKHETI”

“ЛИТЕРАТУРУЛИ МЕСХЕТИ”

მსოფლიოს ხალხთა ისტორია, თხზულებები, ლექსები თუ რომანები იკითხე ყველგან, მეგობარო! შეიხედე ინტერნეტის ეკრანზე, ეახელი წარმოსახვის კოსმიურ უხილავ ქსელზე, შეისწავლე ნაწარები თიხაზე, ქვანახე და უძველესი სხვადასხვა მოვლენები ხეზე, ეტრატზე, მეტალზე, მაგრამ, უნდა გვახსოვდეს, ადვილად მისაწვდომ ქალაქის წიგნს ვერაფერი შეცვლის! ქუჩაში ნუ გააგდებ, საუკუნის შეგნებულ ადამიანო! კაცობრიობას თოთხმეტ ენაზე დამწერლობა მოუვლინა უფალმა; ხოლო დამწერლობამ წარმოშვა მრავალსახეობა საოცრება წიგნისა...

თანამედროვე ტექნიკის მიღწევა ინტერნეტი, ადამიანური ნიჭიდან და მესხიერებიდანაა გამომდინარე. ჩაქრება ინტერნეტი და - უბრალო, ჩამუქებული დაფაა, მის მესხიერებას ელექტროშუქი -



დარჩება...

სამყარო კუნაპეტი სიბნელეა, მადლობა უფალს, მის სივრცის გარკვეულ ფართობს მზეები, ანუ ვარსკვლავები, ანათებენ: თანატოლი თუ თანაფარდობითი მზეებია ალბათ, ორი ათას ხუთასზე მეტ ხალხთა ენაზე ამეცხველებული წიგნები.

წიგნი! - როგორც მოგახსენეთ, სულია უკვდავი, ღმერთის საუბარია, შენი და მსოფლიოს მრავალ ერთა წარსული, აწმყო და მომავალი; წიგნი უფალივით პლანეტის ყველა ენაზე მოსაუბრეა; წიგნი კეთილი ლოცვაა უსასრულო, ღიმილი, სიხარული, სევდა, გლოვა, გახსენება, იმედი, სწავლა, შეგონება, სიძულვილი და ომები, აღტაცება, განცდა, გახელება, ფიქრი და დუმილი; მოვლენათა სწორი ხედვა, შთაგონება, დაუფინჯრობა, შენში ახალი და განსხვავებული

წიგნსა უნდა უი ნუ პაუპდებ!

დენია, რომ გვანდის, თუ არადა, შორსაა ის შენგან. წიგნი? ყველგანაა, ყველასთანაა და ყველაზე მუდმივი უახლოესი აზროვნებაა შენთან მყოფი, წიგნი ღმერთია ადამიანთან უახლოესი, თავისებური, მარადიული სულისა და გონების უკვდავებაა, წიგნი ცოცხალი არსებაა, ნიჭი და აზროვნებაა. წიგნი მუდამყამს უფლის და ავტორის ანდამატური სუნი ასდის. წიგნი რაც უფრო ძველია, ის შორეული მისტიკა და უძირო კოსმოსური სიმდიდრეა საკვირველი...

გვჯეროდეს, უმაღლესი თუ საშუალო დონის წიგნებით, როგორც მინიერ გარემოსთან, ასევე უფალთან, უსასრულო ურთიერთობა გვაქვს...

„ადამიანი წიგნით ხელში არასდროს მარტო არ იქნება“ - გოლდონი.

ერთხელ ინტელექტუალების შეკრებას დავესწარი, და იყო კრიტიკული სჯაბასი-საუბარი. ითქვა, ფოტოგრაფიკა მომავალში ფერწერას შეცვლისო, მაგ-

რამ ეს ხომ ფოტოსაგან მონუსხული და დაბნეული ადამიანების აზრი იყო. განა ფერწერას შეცვლის რამე? ფერწერული სურათი ხომ ღმერთის უშუალო ჩარევითაა შექმნილი და, კიდევ, საოცრება კოსმოსური ხილვებისაგან, პიროვნული დიდი ნიჭის მოვლენით. განა, მეგობრებო, წიგნს და ფერწერულ ტილოს შეცვლის თანამედროვე თუ მომავლის ტექნიკა? ისინი ხომ ინდივიდუალიზმის უდიდესი აზროვნებაა, შემოქმედებითი გემოვნებაა აუხსნელი. მერმე გაგრძელდა სევდიანი საუბარი ისევე წიგნზე, ზოგმა მზეს გაუტოლა, ზოგმა რას და რას არა, მათგან ერთ-ერთი თითქმის მოთქვამდა, - რა საშინელი დრო დაგვიდგა, წიგნს როგორ ცუდად ექცევიან ადამიანებიო! და საბერძნეთიდან ჩამოსულმა ემიგრანტმა ქალბატონმა ბრძანა: - ათენში საცოდაობა ვნახე, წიგნების გორა ქუჩაში გამოყრილი იყო და მათში პლატონის, არისტოტელეს, სოკრატეს, პომპროსის „ილიადა“ და, კიდევ, სხვათა ნაწარმოებებიც ერიაო. აი, სადამდე დააბნია თავად უცოდველმა ინტერნეტმა ადამიანებო.

ერთხელ, ასათიანის ქუჩა გადმოვჭერი და, რა ვიხილე, - იამცილის ქუჩის ბოლოს, სანაგვე ყუთებთან, ცალკე დაეყარათ განწირული წიგნები. გაცოცხლებული მივედი, პირველი, რაც ხელში ჩამივარდა, ფიროსმანის სურათების ფერადად დასურათებული ალბომი, შემდეგ - მერაბ კოსტავას ლექსების კრებული, რამდენიმე ქართული და რუსული ლიტერატურის და, კიდევ ვინ? - მიხეილ

ჯავახიშვილი, ვასილ ბარნოვი, იაკობ გოგებაშვილი, პუშკინი, დოსტოვესკი, ბულგაკოვი, ტოლსტოი, ესენინი... მერმე შევნიშნე ყვითელი, სქელი წიგნი და ებრაული თორა! უცბად ცელოფენის პარკში, სხვა წიგნებთან ერთად, ჩავუშვი. მათთან ერთ-ერთი თანამედროვე ქართველი მხატვრის ალბომიც იდო, ისიც ავიღეთუმცა მისი ავტორი, ზოგჯერ, ჩემს პერსონალურ გამოფენებზე ავადმყოფურ შურს ამჟღავნებდა...


1983 წელს, დანიაში, ქალაქ ოდენკში, მაკულატურის გროვაში შემთხვევით იპოვნეს მოცარტის უცნობი სიმფონია. ასეთი უცნაურობებიც ხდება, თურმე, ქალაქის სამყაროში.

აუცილებელია, წიგნს მშობლიურად დაუბრუნდეთ, მეგობრებო, იქ ხომ ღვთის სხივები, აზრი და მზის შუქია ჩაღვრილი. ინტერნეტს, ტელევიზიას, რადიოს, ჩვენს ცხოვრებაში უზარმაზარი ფუნქციები აქვთ. წიგნმა რა დაგიშავათ? რატომ გამოყარეთ თქვენი ბინებიდან? არ შევრცხვეთ, თანამედროვენო, დროულად აზრზე მოსული მომავალი თაობების წინაშე...

წიგნი, მეგობრებო, ათასეული წლებიდან მოყოლებული, ევოლუციური ცივილიზაციაა, რა თქმა უნდა, დროთა ჟამში იცვლიდა ფორმას და მასალას, მაგრამ ღვთიური კოსმოსური სახე ადამიანისა მარადიულია, მას მომავალში მრავალი და სასწაული ტექნიკური შეგირდი აღმოაჩნდება, მაგრამ წიგნი, როგორც დედამიწა ვარსკვლავეთის ფენომენი, ფასდაუდებელ წიგნად

სიცოცხლე, ჭირ-ვარამი, ტრაგედია-დრამა და სიყვარული ღვთიური, ჭეშმარიტება მინიერი და კოსმიური; ინტიმის მრავალსახეობათა უსასრულობაა, დაღლა, მობეზრება, განსჯა, შედარებები და დატოლება; განძი შეუფასებელი, ამ დროს მზის სხივითი ყველასათვის მისაწვდომი და ნებისმიერთათვის - გარდამავლობითი საკუთრება; უთვალავი ფერწერული ნახატების დასურათებები თუ მრავალსიუჟეტოანი ფოტოსურათთა მასში განთავსებული; მზის, მთვარის, ვარსკვლავების გალობა და წიგნთა შორის უპირველესი ბიბლიაა, ახალი ალექსანდრე - ქვეყნიერების უსასრულობის დაუმთავრებელი ხატი. წიგნშია ასახული დაბადება, ბიოგრაფიები, ისტორიები, მონოგრაფიები, ლექსები, ნოველები, მოთხრობები და რომანები, მხოლოდ წიგნითაა მარადიულად ასხმული, ისინი ხომ უკვდავების ხეა ღვთიური ნაყოფით.

დასასრული მე-6 გვ. ▶



კლარა გელაშვილი

ასეთი საშინელი, ყრუ, ბნელი, ეჭვიანი და უიმედო ღამე ჯერ არ ჰქონია. არც ასეთი ცივი, სუსხით სავსე შემოდგომის დილა ახსოვს დღემდე და არც ასეთი ნისლი გახვეული და არაფრის მთქმელი თბილისი.

დღე-ღამის კომპარებით დაღლილს გადწყვეტილება ვერაფერმა შეაცვლევინა. სასწრაფოდ უნდა გასცლოდა ყველას და ყველაფერს!.. ასეთი იყო პროტესტის ფორმა, რომელიც მის გარშემო და, საერთოდ, ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე გამოიხატა.

ბინიდან გასვლისას, ქალის ხმა ხანჯალივით წამოიწია და თავი მძიმედ შემოაბრუნა. როგორ უნდოდა განმორების წუთები არ განეცადა, მაგრამ...

- ხომ არაფერი გრჩებაო, - სხვა ან კი რაღა უნდა ეკითხა ქალს, რომელიც ათიოდე წლის ბიჭზე ხელმოხვეული იდგა და ქვითინს ძლივს იკავებდა. ბავშვის მუდარით სავსე თვალების დამნახავს, სურვილი გაუჩნდა, ჩანთა სადღაც, შორს მოესროლა, გულში ჩაეკრა შვილიც, მეუღლეც, მაგრამ...

- დედას გაუფრთხილდი, შენ უკვე კაცი ხარ! - ნაძალადევად გაუღიმა შვილს, მხარზე ხელი, როგორც ვაჟკაცს, ისე წამოჰკრა და სასწრაფოდ გაეცალა...

მისი წასვლისთანავე, ოჯახში სიცივემ დაისადგურა. დედამ შვილს ცრემლიანი თვალები მოარიდა და მოჩვენებითი სიმშვიდით საძინებელში შევიდა. - „ნავიდა!... ველარ გაუძლო!... მე კი...“ - ამ სიტყვებით სავარძელში ჩაეშვა და ბავშვივით მოიკუნტა. ყველაზე უკეთ ის იცნობდა და მასზე უკეთ ვერც ვერვინ შესძლებდა ამ მდგომარეობაში მისთვის გაეგო. სწორედ ამიტომ იყო, რომ არც უცდია, წასვლა გადაეფიქრებინა მისთვის...

პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდილი კაცისთვის მეტისმეტად რთული გადასატანი აღმოჩნდა ის წლები, რომლებმაც თავდაყირა დააყენეს მისი რწმენაც და ცნობიერებაც. 1989 წლის აპრილში ერთ მუშტად შეკრული საქართველო, მის თვალწინ, ნაწილ-ნაწილად გაიხლიჩა. პატოსანის კაცისთვის რწმენის შერყევა სიკვდილის ტოლფასი აღმოჩნდა. ხმა ამოიღო, დაუპირისპირდა და... სულში ჩააფურთხეს! დამოუკიდებლობის მძიმე საფეხურებს განუკითხაობა დაემატა და ქართული სულის ზეობის ნაცვლად კორუფცია და ეკონომიკური კრიზისი გაბატონდა. ქვეყანაში, უპატრონო და დაუცველ ეკლესიას ემშაკები დაეპატრონენ, მათთვის ჩალის ფასი დაეღო ძვირადღირებულ ფასეულობებს. ადამიანობა, სინდის-ნამუსი, კაცობა, სამართალი, ფეხქვეშ გათელეს... რკინის მოთმინებამაც ვერ უშველა და ფილაც აივსო! - პოლიციაში ცემით მოჰკლეს მისი მეგობარი, რომელსაც, თითქოსდა, ჯიბეში ნარკოტიკი აღმოუჩინეს, მან კი, თავისთავად, უარი განაცხადა ნივთმტკიცებაზეც და დასახელებული თანხის მიტანაზეც. დამუქრებია კიდეც და ალაღმართალ ახალგაზრდა კაცს სული ცემში ამოხადეს!... შურისძიებით ანთებულ მეგობრებს კი მისი ნარკომანობის დამამტკიცებელი ფურცელი თვალწინ დამცინავი ღიმილით აუფრიალეს!.. ეს უკვე მეორედ მოკლული მეგობარი კი, ბიჭებმა ჭეშმარიტებასთან ერთად სამუდამოდ დაასაფლავეს...

ქვეყანაში გამეფებულმა სრულმა განუკითხაობამ უამრავ ადამიანს დაატოვებინა სამშობლო...

- „ჩვენ რა დავაშავეთ?!“ - ხმამაღლა ჩაილაპარაკა ქალმა და მწარედ ამოიოხრა...

ახალგაზრდა, სიცოცხლით სავსე ქალი, მეუღლის არყოფნით გამოწვეულ სიცარიელეს ვერაფრით ეგუებოდა. საკუთარ თავში ჩაიკეტა და შვილთან ურთიერთობაც დაეძაბა. სახლში თითქოს ყველაფერი გაცივდა და გაიყინა. ქალი ვერ გრძნობდა, რომ მის გვერდით პატარა, მაგრამ უერთგულესი ადამიანი იდგა და შეეძლო მასზე დაყრდნობა, თუნდაც, თანაგრძობისთვის... ბიჭს კი, იმაზე მეტი ესმოდა, ვიდრე დედას შეეძლო წარმოედგინა...

ერთხელ, დედა მეზობელს შეებრაღა: - „ცოდოა, ახალგაზრდა ქალიაო...“ ბიჭს

გული შეეკუმშა, - რა ჰქონდა მის დედას შესაბრაღისი?! თითქოს თავმოყვარეობა შეუღახესო, სახე აელენა, თუმცა, არაფერი უთქვამს...

დედამ მოუხშირა ეკლესიაში სიარულს (როგორ უხდებოდა თეთრი მანდილი!), მერე მეგობრებსაც აკითხავდა... სახლში დაბრუნებული კი დიდხანს იჯდა მიხურულ კარს მიღმა და ვიღაცას ესაუბრებოდა... ამკარად შეიცვალა, გამოცოცხლდა, სიცოცხლის ხალისი დაუბრუნდა ქალს, მაგრამ ყოველივე ამან დედა-შვილის ურთიერთობა ქვეცნობიერად უფრო დაძაბა და ფრთხილი გახადა. რატომღაც, ბიჭს, ტკივილიანი და თვალცრემლიანი „უნინდელო“ დედა უფრო მოსწონდა, ვიდრე ასე სახეშეცვლილი, რომლის შეხედვაც კი არ ამშვიდებდა, აფორიაქებდა.



კვირა დილით გვიან გამოეღვიძა. დედა შინ არ იყო, - „წირვანზე წავიდოდაო“ - გაიფიქრა. ქარი აივნის კარებს აწვავდა და ვიდრე მას შემოხიზნავდა, თვალის წინზე გაფენილ დედის თეთრ მანდილს მოჰკრა, რომელსაც ქარი საოცრად აფრიალებდა...

- „ალბათ, წირვანზე არაა!...“ - გაიფიქრა ბიჭმა და სპორტულ ჩანთასთან ერთად ტკივილი მხარზე გადაიკიდა...

ბაზრობიდან დაბრუნებულმა ქალმა ახლად შეძენილი ტანსაცმელი სარკის წინ მოისინჯა და საკუთარი ორეული სიამოვნებით შეათვალიერა. ტანჯვის კვალი საერთოდ ნაშლილიყო მისი სახიდან. შვილსაც მხიარულად შეეხმიანა, მაგრამ მან არ თანაუგრძნო და გულამოღებული კოფტის დამნახავს, გული მისთვის ჯერ კიდევ გაუცნობიერებელმა გრძნობამ, ეჭვმა აუფორიაქა...

რამდენიმე დღის შემდეგ, ქალს ხელში შავი ტუშის წვეთებით დასვრილი კოფთა ეჭირა. თუმცა, ბიჭისთვის აღარაფერი უთითხავს...

იმ ღამით კი, გვიან, როცა ჭექა-ქუხილმა იმატა და შიშით მოკუნტულს ძილი არ მიეკარა, კარზე ზარის ხმა მოესმა. გამოფხიზლებულმა სმენა დაძაბა და ნაბიჯების ხმაზე მიხვდა, დედა კარს მიუახლოვდა. რამდენიმე წამში ბიჭმა ამკარად გაიგონა, რომ დედამ, განაწყენებული ტონით, ვიღაცას წასვლა უბრძანა!...

ნადრევედ ფიქრშემოჯარულ ბიჭს მამის გზავნილები არ აკამაყოფილებდა. აფორიაქებულმა ბავშვმა სწავლას მოუკლო. მერხზე წრიალებდა და აზრები ეფანტებოდა. ეზოში სათამაშოდ აღარ ჩადიოდა და თუ არ მოეშვეოდნენ, რაღაცას მაინც მოიმიზეზებდა და შინ ბრუნდებოდა. პატარა გული რაღაც ავს უგრძნობდა და მზად იყო ვიღაცას შეკვდომოდა. ეს „ვიღაცა“ კი, არხეინად იჯდა ტელეფონის ყურმილის მიღმა და სიმშვიდეს აკარგვინებდა...

ერთხელ, ზარს, ბიჭმაც უპასუხა და როცა დედა იკითხეს, ველარ აიტანა და თავი გასცა: - რა გინდა, ვინ ხარ, დედა შინ არაა! აღარასოდეს დარეკო!.. ბავშვისთვის შეუფერებელი, რაღაც არაადამიანური ხმით ჩასძახა ყურმილში ბიჭმა და თვალებში ცეცხლი აენთო.

იმ საღამოს, დედამ თავის ტკივილი

მოიმიზეზა და საძინებლიდან არ გამოსულა... ბიჭს უცნაური რამ ესიზმრა: აღლევებული ზღვის ტალღები ნავს შუა ზღვისკენ მიაქანებდნენ. ნავში კი, დედა საოცარი სიმშვიდით იჯდა და იღიმებოდა... შეშინებულმა ბიჭმა დედის საძინებელს მიაშურა. რამდენი ხანია დედა აღარ მოფერებია. მერე, როგორ ენატრება მისი ალერსი!... მასთან ჩახუტება ენატრება! უნდა, რომ მასთან მივიდეს... მიეკედლოს და მკერდზე მიაყრდნოს ფიქრისგან დაღლილი პატარა თავი... ეს სიმარტოვე ხომ მისი ბრალიცაა! - გაუბრუნდა და ფარულ ბრძოლას უცხადებდა!.. და მერე ვის?! - დედას, საყვარელ დედას!

ვერ გაბედა მისვლა... დედას მშვიდად ეძინა და გამობრუნდა...

დილით უძილობით დამძიმებული თავი ვერ ასწია... დედამ მიაკითხა, - ავად ხომ არ ხარ, შვილოო? დაიხარა და შუბლზე ნაზად ეამბორა. თბილი იყო დედის ტუჩები. ნეტავ მართლა სიცხე ჰქონოდა... დედამ შვილს თმებში თითები ნელ-ნელა შეუცურა და... მზერა გაეყინა... ამკარა იყო, რაღაცა აწუხებდა... მთელი დღე არ გაუღიმა, რამდენჯერმე ზარსაც არ უპასუხა... 3-4 საათზე ისევ დარეკეს. ბიჭი დედის ოთახში შევიდა და რას ხედავდა, - დედა ფიქრს მისცემოდა - აელო თუ არა ყურმილი... მერე კარი შეიხურა და ცოტა ხანს თითქოს ხმადაბლა ესაუბრებოდა „უწინარს“...

საღამოს დედამ ტანსაცმელი გამოიცვალა, - მეგობრები მომენატრენ, ვნახავ და მალე დავბრუნდებიო, - ისე ჩაილაპარაკა, შვილისთვის არც შეუხედავს... ბიჭი ადგა და... - ეზოში ჩავალო, - ჩაილაპარაკა... ძია სანდროს ტაქსი გაჩერებაზე იდგა და კლიენტს ელოდა. თვითონ, 60 წელს გადაცილებული სანდრო კი საზურგეზე მიწოლილიყო და თვლემდა. თითქოს ბიჭის მიახლოვება იგრძნო, თვალის გაახილა და თავისთან მიიხმო. მერე როგორ უყვარდა გონიერი, ლამაზი და მჭერმეტყველი ბიჭი... - სად მიდიხარო, - კარი გაუღო და, - დაჯექიო, - შესთავაზა. ბიჭმა თვითონაც არ იცოდა, რა უნდოდა, ან სად მიდიოდა. ტაქსში ჩაჯდა და კარი მიხურა... რამდენჯერ გაუსეირნებია ძია სანდროს!.. კარის მეზობელი იყო და მამის ამბავს ხშირად ეკითხებოდა:

- ეხ, აქ ცხოვრება აღარ შეიძლება, მაგრამ ახლა სადღა წავალ... თუმცა, დრო მოვა, ყველაფერი დალაგდება და ისინიც ჩამოვლენო... გულს უმაგრებდა ბიჭს და თანატოლივით ექცეოდა. ცოტა ხანში სადარბაზოდან გამოსული დედა დაინახა. თავზე შლიაპა ეფარა და... კინაღამ ვერ იცნო!... მერე ეს შავი სათვალეებიც და... აჩქარებულმა ჩაიარა. დაძაბული და დაბნეული ჩანდა... თითქოს ვიღაცისა ემინიო, აქეთ-იქით რამდენჯერმე მიმოიხედა. მერე გზა გადაჭრა და... შავი „სამარა“ მასთან მისრიალდა. ახალგაზრდა კაცმა სალონის კარი მონინებით გაუღო, მერე ფრთხილად მიხურა,

მრავალმნიშვნელოვნად ჩაიღიმა და ჩაჯდა...

ყოველივე ამას, თვალგაფართოებულ უმზერდა ბიჭი. აცანცახებულ მუხლებს ვერ აჩერებდა და პირველი, რაც მოილოქმედა, ის იყო, რომ ისევ ბურანში წასულ ძია სანდროს მხარზე ხელი დაადო და პიჯაკი მოქაჩა, - „ძია სანდრო, გეხეხეხები, აგერ იმ მანქანას დამწიეო!“.. ძია სანდრო ჯერ დაფიქრდა, მერე კი ბავშვმა რამდენჯერმე რომ მუდარით გაუფერო და ისიც დააყოლა, არ შეგამჩნიო, - მანქანა ადგილიდან დაძრა.

- მამა რომ ჩამოვა, გადაგიხდი! - უხერხულად შეჰღიმა ბიჭმა.

მანქანა ქალაქს გასცდა და გეზი მცხეთის მიმართულებით აიღო. ცოტა ხანში, აგურის ფაცხებში შესრიალებულ „სამარას“ „ჟიგული“ შეჰყვა და შორიახლოს შეჩერდა.

ნუთი საუკუნედ იქცა. ძია სანდრო აფორიაქდა. მერე ამოიხეხა და პატარა მეგობარს მხარზე ხელი მოუცაცუნა: „ხომ ვართ ჩვენ ძმაცაცები? მოდი ახლა, შენ სახლში წავიყვან, მე მოვბრუნდები და... - ცოდო ხარ, შვილო, ისიც ცოდოა და შენც...“ ბიჭმა გაიანზრა თუ არა, რასაც უპირებდა ძია სანდრო, მუდარით სავსე თვალებით შეხედა: - „არა, ძია სანდრო, დედას გაფიცებ, არსად წამიყვანო!“

ძია სანდროს ღანვზე ცრემლი ჩამოუგორდა და თავი მიაბრუნა, - ეს რა მიქნა ამ მამაძალღმამო! - გაიფიქრა და ბავშვის მდგომარეობით აფორიაქებულმა მწარედ ამოიხეხა.

როგორც იქნა ფაცხიდან მათი მიმართულებით მომავალი ნაცნობი წყვილიც გამოჩნდა. მამაკაცს ახალგაზრდა ქალისთვის ნელზე ხელი შემოეხვია და თვალებში შესცივინებდა. ბიჭი დარწმუნდა რა, რომ ეს ნამდვილად დედამისი იყო, ძია სანდროს აღარ უყურებდა, თითქოს რცხვენიაო და აღარ იცოდა რა ექნა...

თავდავინწყებამდე მისული წყვილი უკვე „ჟიგულსა“ და „სამარას“ შუა იდგნენ და, საერთოდ, აღარ ახსოვდათ, მათ ირგვლივ იყო თუ არა სამყარო... „სამაროდან“ მძლოლი გადმოხტა, სალონის ორივე კარი გამოაღო და, საითო? - ქალის თანმხლებ მამაკაცს ხმადაბლა ჩაეკითხა.

- სასტუმროში!... - ალერსიანი ხმით უპასუხა კაცმა და ქალს ანიშნა, ჩავსხდეთო. ქალი თითქოს შეცბა, - რა სთქვიო?!

- არაფერი, ძვირფასო, ხომ უნდა წავიდეო!... - მამაკაცი ქალს უკვე სიფრთხილით ანიშნებდა, ჩავსხდეთო... ის იყო ქალი მანქანაში ჩასაჯდომად მოემზადა, რომ, ძია სანდრომ თვალის ვერ შეასწრო, ისე გადახტა ბიჭი მანქანიდან და დედისკენ გაიქცა. მერე ნელზე ორივე ხელი შემოაჭდა და განწირული, მუდარანარევი ხმით იყვირა:

- არ გინდა, დედა!!!

ქალი ადგილზე გაქვავდა. შვილის ნელზე მჭიდროდ შემოჭდობილი ხელეზი განძრევის საშუალებას არ აძლევდა. ქალი უმალ გამოფხიზლდა. ცოცხალი რგოლისგან წელი გაითავისუფლა და შვილს შეშინებულმა ჩახედა თვალებში. მის წინ სახეშეშლილი, გაფთრებული, ერთადერთი პირმშო იდგა და მთლად ცახცახებდა... ბიჭმა იფიქრა, დედა თავიდან მიშორებსო და, ახლა მუხლებზე შემოეხვა.

ქალმა ბავშვი სწრაფად წამოაყენა. - „დედა მოგიკვდეს“-ო, - ახლა თვითონ მოხვია ხელი, მკერდზე მიიკრა და ატირებული მამა ირგვლივ მიმოიხედა.

- ტაქსი!!! - იყვირა უცებ და შვილზე ხელჩაკიდებული ისე გაიქცა ავტომანქანისაკენ, თითქოს მის წინააღმდეგ ახედრებული სამყარო ფეხდაფეხ მისდევდა...

ერთი კვირის შემდეგ, სადარბაზოსთან შეჩერებულ ძია სანდროს პატარა მეგობარმა შესცივინა და ტაქსის კარი თამამად გამოაღო.

- საით? - ღიმილითვე ჩაეკითხა ძია სანდრო სახეგაბრწყინებულ დედა-შვილს.

- აეროპორტში! - ამყად უპასუხა ბიჭმა და სალონში დიდი კაცივით მოკალათდა.

თინათინ მკვლიაშვილი

შენ ხომ არ იყი, იასამანო?

მე მიყვარს ჩემი სამშობლო ლურჯი,
ულამაზესი და უსამანო...
შენ ხომ არ იცი, ესოდენ ურჩი,
რად დავიბადე, იასამანო?..

ან რად ავისხი ცრემლი მძივებად,
ოდეს მზისგულზე ვარდი ეყარა?...
რად მიჩქარდება მაჯა ძლიერად,
ოდეს მწუხარებს ჩემი ქვეყანა?

ანდა, ეს სტროფი რატომ მრისხანებს,
რად გადაუცვამს მკერდზე აბჯარი?...
რითმას, - ნაომარს და ნაგრიგალევს,
რატომ არტყია ქამარ-ხანჯალი?..

მაგრამ, რა არის წუთისოფელი,
თუ სამშობლოსთვის გული არ გიცემს?!..
არ დაგიტოვია ქვეყნად ყოველი,
როგორც გიორგი ანწუხელიძეს?!

ან დაკუნთული, მძლავრი ხარივით,
თუ არ მოგიხნავს ნავენახარი...
ან ერთხელ მაინც, იოთამივით,
არ ჩაუციათ ზურგში ლახვარი?!..

თუ სტიქიების არ ხარ დაქალი,
არ გხიბლავს ქარის შლეგი სინაზე...
ვინმე ავგული, ვინმე ავთვალი,
არ გაგიტელავს დიდ კორიდაზე!

მიტხარი, ჩემო იასამანო,
ღირს კი ცხოვრება, ესოდენ ლურჯი? -
ულამაზესი და უსამანო,
მაგრამ თევზივით უტყვი და მუნჯი?..

შუალამა... ჩემს ფანჯარასთან
მშვიდად ირწევა იასამანი...
ვზივარ საკანში ურჩი ავაზა, -
საქართველოა ჩემი საკანი!..

კახეთს

ჩემი კახეთი! ალავერდის ფრთების სილაღე...
კავკასიონის მთაგრეხილის ლურჯი იერი...
ჩემი კახეთი! ხორნაბუჯის ციხესიმაგრე,
აღმოსავლეთის ხერხემალი დიდმშვენიერი!

ჩემი კახეთი! უძლეველი მეფე-მგოსნები,
სეფე-დარბაზთა ჯომარდები, გმირები მოთა!
ბრძოლის ქარცეცხლში ნასისხლარი შვეფაროსნები,
კახი ლომები, მემომარნი ირანის ლომთან!..


ივრის ჭალები - უსასრულო, უღვთოდ ლამაზი,
კახის ლექსები - მამაპაპურ ქვევრში მაჭარი...
ჩოლოყაშვილი, ჭავჭავაძე, კოტე აფხაზი, -
საქართველოზე შემორტყმული ქამარ-ხანჯალი!..

და ნახარი, ნამეხარი ველი ალაზნის...
ვაზთა სამეფოს ოქროს ზერები - უფლის ზედაშე!..
თვალისმომჭრელი სანახები ძველი გავაზის,
ლომთა ნაფხურს მივუყვებით, ჩემო, მე და შენ!..

ჰოი, მტევნები! ნაცრემლარი, სველი მტევნები,
კახის გულმკერდზე გამოზრდილნი, მეოხნი უამთა!..
ნეკრესის ცაზე აფრენილი თეთრი მტრედები
და ძველი გველის შემუსვრელი, მეტოქე ქართა!..

ჰოი, ტაძრები! ლილისფერი ქვევრით ნათალი,
კარდანახული წარაფების სურნელი ზესთა!..
შუამთის შინდი - გურიელის ნათინათარი
და ფიროსმანი, დანინდული კახეთის მზესთან!..

ჩემი კახეთი! ცივგომბორის ლურჯი იერი...
სილნალის, გრემის და იყალთოს მთების სილაღე...
აღმოსავლეთის ხერხემალი დიდმშვენიერი,
ჩემი კახეთი! საქართველოს ციხესიმაგრე!..



სიკვდილს

ჩემს ღისპვილს

წვიმს უსაშველოდ... და ღამეა ცივი და მკაცრი.
მდინარის ფსკერზე შემლილივით დავეხეტები...
აქ, ამ ბნელეთში, მე დავკარგე ოჯახის კაცი,
ვეძებ ლოდებში, გამუდმებით და გახელვებით!..

მთვარე, შენ ხარ ღამის თეთრი, დიდი ფერმწერი,
რარიც ვცდილობდი, შენი გული ოდნავ გამელღვო...
მიტხარი, ჩემო, ეს გრივალე და ეს მუნჯერი,
ვარსკვლავითიდან რად დამეცა ან რად დამემხო?!..

ჰოი, ტკივილი! - უსამართლო, უღვთო ტკივილი!..
ჰოი, რიონი! - აღრენილი ავი ძაღლივით!..
უკიდევანო, უსამანო სულის კივილი, -
საბედისწეროდ გაჩხერილი ყელში ძვალვით!

რა სიშლევაა!.. სიმძიმელი, ცრემლი უღვთი...
არ მსურს, სიკვდილო, გაღიარო, ასე გაცხადდე!..
შენს ძლევაშის სიდიადეს ვერ ვეგუებო,
არ გეპუები!.. და, არა გცნობ!.. პროტესტს ვაცხადებ!..

თავად მოგკლავდი!.. მიგახრჩობდი, როგორც იქედნეს,
მარადისობას სამუდამოდ ჩაბარდებოდი...
შენ გაანგრევი მოსახვევში კლდეს და ჯვბირებს
და აღიდებულ მდინარეში ჩავარდებოდი!..

არ გაღირსებდი ჭირის სუფრას - პურსა და ღვინოს,
სანთელ-საკმეველს სურნელოვანს, არ ავინებდი!..
არ მოგართმევი არც ყაყაჩოს და არც ღიღილოს,
ჰოი, სიკვდილო, ასე ზის მკვდარსაც, თმებით გითრევი!..

წვიმს უსაშველოდ... და ღამეა ცივი და მკაცრი.
რა შემზარავად ღამაზა რაჭის ხედები...
ვარდობისთვეში მე დავკარგე ოჯახის კაცი,
მდინარის ფსკერზე შემლილივით დავეხეტები!..

რეკვიემი

(ჩემს ღისპვილს)

ღმერთო, სად ხარ?... ხედავ, ვტირი, სანუთროსგან ნაცემი,
ჟამი მიდგას ერთობ მკაცრი, ერთობ თავზარდამცემი.
თითქოს ფრთები შემეკეცა, გაქრა სულის სილაღე,
თავზე ზეცა ჩამომექცა, ლექსთა ზესთა სიმაღლე!..

გულზევათა და მზვობართა გასახარად დავეცი,
თუმც, რაც ნიჭი მიწყალობე, უსასყიდლოდ გავეცი...
და სამშობლოს ვემსახურე, როგორც სანდო მხევალი,
ნეტავ, როდის განგარისხე ჩემი ბედის მწერალი?..

თუ რამ ვცოდე, ხომ მოვიმკე ცრემლით, უშვილიძობით,
მარტოხელა დავალ ქვეყნად ჩემი ხუთი ჭრილობით...
ვინმეს ვაგნე?... ჩემს თავს ვაგნე და ვაგუბი ხლართებით,
პურიც ვთესე, ხმალიც ვლესე და შევამკე ხატები.

არცრა ხდება უშენოდ და არცვინ ხდება მღევარი...
რა საბრალოდ მონყდა ვენახს ვაზის ერთი მტევანი!..
ღმერთო, სად ხარ?... გვედრები, ასე, ხელეზანვდილი,
შენთან ბიჭი რომ მოვიდა, ჩემი ხორცის ნაწილი.

შენგან ასე ზის დანდობილი, შენგან მაღლით ცხებული,
რაჭის გზაზე, მოსახვევთან, მწარედ დამარცხებული, -
მუხლმოყრილი გვედრები, შენთვის ღამის მთეველი,
გზად მონყვეტილს გაუხსენი ცათა სასუფეველი.

ჯოჯოხეთი აარიდე, ავგული და ავთვალი,
შენს ხელმარჯვნივ დაამკვიდრე, როგორც კაცი მართალი.
სადაც არ არს მწუხარება და არც შლეგი რიონი,
სადაც სუფევს მდუმარება და ცათა საფირონი.

სადაც სულთა ცხოვნებაა, - ზღუდე დაურღვეველი,
სადაც წმინდა ცხოვრებაა, - წყარო აუმღვრეველი.
სადაც შენი ტახტი ბრწყინავს, - უსასოთა მძლეველი:
მამა, ძე და სულიწმინდა და... ნუგეშისმცემელი!..

აქ კი, სოფლად, მე დამრჩება მიწიერი სამარე,
როგორც გულში ნატყვიარი, როგორც სევდის სავანე.
ქრისტე, მე ვარ შენი მონა, შენ კი - ჩემი ზედაშე,
მერე, ჩემი ჟამიც მოვა და შევხვდებით მე და შენ.

მაგდალენა

როგორ გშენის თეთრი კაბა, მაგდალენა,
თითქოს ციდან მარგალიტი განვიმდეს...
ისე ცეკვა, ემზადები ასაფრენად
და აბრმავებ ბიზანტიურ არწივებს.

მოველინე ეგეოსს და ჰერაკლიონს
პატარძალი - ღამაზი და სვიანი...
და ღამაზე ღრუბლებს ფანტავს, -
სამასი დღე - ნათელი და მზიანი.

ქალმერთივით ეცეკვები დედამიწას,
გეტრფის ქმარი, შენი ხიბლით უძღური...
მზეთუნახავს დაგიფარავს და დაგიცავს,
საბერძნეთის თვალხატულა კუნძული.

ჰოი, როგორ ეღვარებენ ქართველურად,
პელაგური, უძველესი ფესვები...
დაგიჩრდილავს და სვეტებთან განაბულან
დარცხენილი ანტიკური ფრესკები.

ზღვა ღელავს და ზეთისხილის პლანტაციებს
მზის და მინის სურნელება ედება...
ოლიმპოდან თავად ზევსი გაგაცილებს
და ზღვის ტალღებს გადაგიქცევს გედებად.

და სამშობლოს დაცილებულს, დაგამშვიდებს,
ხელისგულზე დაგისვენებს ალიონს...
ზღვის ღელავში დაგარწევს და დაგასიზმრებს
ქართველ თირზას და ინგლისელ ბაირონს.

ღვთისმშობელმა თეთრი მტრედი აგადევნა
და აბრმავებ ბიზანტიურ არწივებს...
როგორ გშენის თეთრი კაბა, მაგდალენა,
თითქოს ციდან მარგალიტი განვიმდეს.





ნოვალ ბართია

ეს მოხდა 632 წელს...

ვიდრე უშუალოდ საკითხს შევხებოდეთ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია, წარმოვაჩინოთ XII საუკუნის მახლობელ აღმოსავლეთსა და საქარ...

აღმოსავლურიდან თუ ჰუმანიტარული ძეგლები შემოედინებოდა თარგმანის გზით, დასავლურად ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი მოიკვლევა გზას.

ასე ჩაისახა და დაიწყო განვითარება კულტურამ, რომელიც არაბულ-მუსლიმური კულტურის სახელით დარჩა ისტორიაში.

მხოლოდ ერთი შეხედვით

ერთი შეხედვით, ირანელები გარაბდნენ, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით. გარეგნულად მოუსხამთ თურმე ირანელებს არაბული მანტია. აღმოჩნდა, რომ ირანელებში არ ჩამქრალა ეროვნული სული, რომელსაც გასაქანი მიეცა 750 წლიდან, ირანული ორიენტაციის მქონე აბასელთა დინასტიის მოსვლის შემდეგ.

სახალიფოს პირველი საუკუნე, ანუ ომავლთა ბატონობის ხანა, მძიმე იყო ირანელთათვის, რადგან ომაელეზი ზემოდა უყურებდნენ დაპყრობილ ხალხებს. აბასიდების დროს კი ისლამი გახდა საერთაშორისო რელიგია და წაშალა ეთნიკური ზღვარი არაბებსა და არა მარტო არაბებს შორის, რაც კიდევ უფრო მძიმე ტვირთად დაანება გლეხობას, იმ მიზეზით, რომ თუ ომაელეზის დროს მათ მარტო არაბები „ჭამდნენ“,

ნას სპარსელზე არანაკლებ ატკობდა ტკილბმომავანი სპარსული ყასიდები, რამაც ერთგვარად ხელი შეუწყო სპარსულის დარჩენას თავის ფუნქციებში.

მაშინვე დაზნეულმა ინდოეთი დალაშქრა, სადაც შეიტანა ისლამი და სპარსული ენა, რითაც მას მეტი ასპარეზი მიეცა. თუმცა მას ნამდვილი ასპარეზი, როგორც ენახავთ, თურქსელჯუკთა ბატონობის ხელში მიეცა.

ორრქიანი გვირგვინი

ნახევარ საუკუნემდე გაძლეს ღაზნელებმა, რომელიც მერე თურქ-სელჩუკებმა შეცვალეს. სელჩუკთა დინასტიის დამაარსებელმა თოღრულ-ბეგმა 1055 წელს აიღო სახალიფოს დედაქალაქი ბაღდადი. მას თავზე ორრქიანი გვირგვინი, ნიშნად აღმოსავლეთისა და დასავლეთის მფლობელისა, თვით ხალიფამ დაადგა.

თურქ-სელჩუკებმაც დაპყრობილ ირანში, სპარსული ენა დატოვეს თავის ფუნქციებში.

ახალი დამპყრობლები ირანის დაპყრობით არ შემოფარგლულან. ისინი მოედნენ მთელ მახლობელ აღმოსავლეთს, შექმნეს იმპერია და სპარსულ ენას, ძალაუფლებურად, არნახული ასპარეზი მიეცა.

ამგვარად, მოხდა ისე, რომ პო-

მას ქართველთა წარმოდგენაში თურქ-სელჩუკთა ბატონობისას.

ეს მცირე ექსკურსი იმიტომ გავაკეთეთ, რომ დაახლოებით ზოგადად წარმოგვეჩინა თუ რა სახის კულტურასა და ლიტერატურასთან ჰქონდა შეხება ქართულ მწერლობას XII საუკუნეში.

საქართველოში ამ დროს...

საქართველოშიც ამ დროს მოხდა ასევე მნიშვნელოვანი მოვლენა. დავით მეოთხემ, რომელსაც ხალხმა მერე აღმაშენებელი უწოდა, მეათე საუკუნიდან - ბაგრატი მესამედან დაწყებული საქართველოს გამთლიანების პროცესი ბოლომდე მიიყვანა და შექმნა ისეთი დამოუკიდებელი, ძლიერი სახელმწიფო, რომელიც თავდაცვითი ომებიდან თავდასხმით ომებზე გადაიყვანა.

რა თქმა უნდა, თურქ-სელჩუკები გულცივად არ დაუწყებდნენ ცქერას საქართველოს და 1080 წლიდან ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში იწყება მათი თარეგობა. „თურქების შემოსევა არსებითად განსხვავდებოდა ბიზანტიელებისა თუ არაბების ბატონობისგან. თურქები მომთაბარე-მეჯოგენი იყვნენ. ისინი გადმოსახლები-

მნიშვნელოვანი ცვლილება

არაბთა ხალიფატის დაშლის პროცესი დღევანდელი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე მცხოვრებ ხალხებსაც მოელო.

შირვანზეც ისე თარეგობდნენ თურქ-სელჩუკები, როგორც საქართველოზე, რომელთა წინააღმდეგ ბრძოლაში დავითმა მოკავშირედ გაიხიდა შირვანშაჰები. სწორედ შირვანის დაპყრობის შემდეგ აიღო თოღრულ-ბეგმა ბაღდადი და დაიგა იმპერიის გვირგვინი თავზე.

თურქ-სელჩუკთა მიერ ჩრდილოეთ ირანის, დღევანდელი აზერბაიჯანის, დაპყრობას, პოლიტიკურ-კულტურულთან ერთად, მოჰყვა ეთნიკური ცვლილებები. მოხდა ადგილობრივი ირანული ტომების გათურქება, რასაც მოჰყვა საშუალო სპარსული ენის თურქულით ჩანაცვლება.

სახალიფოს დაშლამდე, ამ ტერიტორიის მოსახლეობის სახელმწიფო და კულტურის ენა იყო არაბული, რომელსაც თურქ-სელჩუკთა ბატონობისას, მას ჩაენაცვლა სპარსული.

ქართველი ერის წინაშე ღვაწლი

თველოში მომხდარი პოლიტიკური და კულტურულ-ლიტერატურული პროცესები.

ორმოცი წლის იყო მუჰამადი, ხილვები რომ დაეწყო და - სამოცდარის - რეალობა დრომ აქცია ისინი. სულ რაღაც ოცდარ წელიწადში მან შეძლო არაბეთის ნახევარკუნძულზე მიმოფანტული მრავალმერითიანი არაბული ტომები ერთი ღმერთისგარშემო შემოეკრიბა და ისლამის დროშის ქვეშ დაერაზა.

დაიბ, ის-ის იყო მუჰამადმა დარაზმა არაბები ისლამის დროშის ქვეშ, არაბეთის ნახევარკუნძულიდან გასასვლელად და დაპყრობითი ომების სანარმოებლად, მაგრამ სწორედ მაშინ მოუწია მას გასვლა ამ სოფლიდან.

ეს მოხდა 632 წელს.

632 წელი გახდა მახლობელი აღმოსავლეთის, მათ შორის ირანული ხალხებისთვის ახალი ერის დასაწყისი. იმავე წელსვე დაარსდა ხალიფატი. ხელისუფლების სათავეში მოვიდნენ ომაიანები. დაიწყო მუჰამადის იდეის განხორციელება და არაბები ელვისებურად დაეპატრონენ მთელ მახლობელ აღმოსავლეთს. მათ ერთდროულად შეუტყეს ერთმანეთთან ბრძოლებში დასუსტებულ ირანს, ბიზანტიასა და უკვე მეფედ საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისისთვის გამარჯვება მოპოვეს ირანზე, ხოლო ბიზანტიას ჩამოაკლეს აღმოსავლეთის პროვინცი - სირია და ეგვიპტი. ამავე დროს ამიერკავკასიაში გააგზავნეს მარბიელი ლაშქრები.

მოხდა წარმოდგენილი რამ, მსოფლიოს ერთ-ერთმა უდიდესმა იმპერიამ, ოთხსაუკუნოვანმა სასანურმა ირანმა, უცებ დაკარგა ცამეტსაუკუნოვანი ზოროასტრული რელიგია, მშობლიური ანბანი და სალიტერატურო ენა, სანაცვლოდ მიიღო ისლამი, არაბული ანბანი და სალიტერატურო ენა - არაბული (ამ დროს ქართველებმა, იმავე დამპყრობთა ხელში ყველაფერი შეინარჩუნა).

ჩაბარდა წარსულს ირანის სახელმწიფოებრიობა, რომელიც, თუ არ მივიღებთ მხედველობაში მეთავე საუკუნეში, ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში, სამანდების მიერ დამოუკიდებლობის ნაწილობრივ აღდგენას, ირანს, ცხრა საუკუნე, სეფიანი შაჰების მოსვლამდე, სახელმწიფოებრიობა დაკარგული ჰქონდა.

არაბები, შედარებით ირანელებთან, პოლიტიკურად და კულტურულად განვითარების დაბალ საფეხურზე იყვნენ, ამიტომ ისინი, ამ მიმართულებით, წარმატებით იყენებდნენ ირანულ რესურსებს. ირანელებიც ყოველმხრივ აქტიურად ჩაებნენ არაბთა იმპერიის სამსახურში, პოლიტიკური კუთხით იქნებოდა ეს თუ კულტურული. განსაკუთრებით კი კულტურის სფეროში გამოიჩინეს თავი.

არაბული ენის პირველი გრამატიკის ავტორი ირანელი იბნ ალ-მუყაფაა. არაბებმა დაიწყეს თარგმნა ცივილიზაციის სამყაროს მონაპოვრების, აღმოსავლურიდან თუ ჰუმანიტარული ძეგლები შემოედინებოდა თარგმანის გზით, დასავლურად ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი მოიკვლევა გზას.



ახლა ირანელი და ადგილობრივი ფეოდალებიც მიემატნენ და გლეხი აუტანელ მდგომარეობაში აღმოჩნდა (ვ.გაბაშვილი, „სარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან“, ვ.გაბაშვილის რედაქციით, გვ. 106, თბილისი, 1957).

ყოველივე ამას მოჰყვა გლეხთა აჯანყებანი, რომელთა დასაყრდენ ძალას წარმოადგენდნენ სახალიფოს პოლიტიკურ ასპარეზზე დანიშნურებული ირანელი და შუა აზიელი ფეოდალები

ბიზანტიის ხალიფებიც თანდათან ნომინალურ მმართველებად იქცნენ და იმპერია IX საუკუნიდან საამიროებად იწყებს დაშლას.

დაიწყო ანტიარაბული სახალხო ინტელექტუალური მოძრაობა. ირანელითათვის მამოძრავებელი ძალა აღმოჩნდა შემდეგი: „ჩვენ ვემშობილ ჩამოვალელები ვართ, არაბს კი თავისი პაპის სახელიც არ ახსოვს“ (იქვე, 107).

ასე დადგა დღის წესრიგში ირანის სახელმწიფოებრიობის აღდგენის საკითხი. მალე ეროვნულმა დინასტიებმა წამოიყვეს თავი თაჰყირადების, საფარადებისა და სამანიდების სახით და საბოლოოდ, როგორც ვეგემს დარმ-სტეტერი წერს: „სამანიდებთან ერთად ტახტზე სპარსული ენაც ავიდა“ (ვ. დარმსტეტერი, „სპარსული პოეზიის სათავეებთან“, თარგმანი ფრანგულიდან ბაჩანა ბრევეჯისა, გვ. 9, თბილისი, 1985).

ასი წელი გასტანეს სამანიდებმა. ამ დროს ახალ სპარსულ ენაზე შეიქმნა დიდი ლიტერატურა, რომელზედაც ფართოდ გაიშალა და დგას დღემდე დიდი სპარსული მწერლობა.

სიტყვების საუკუნის თავზე, ბუიდეებთან მრავალწლიან ბრძოლაში დასუსტებული სამანიდები მათსავე კარზე მონობიდან სულთნობამდე აღზევებულმა სამხედრო პირმა, თურქმა მამშუმდ ღაზნელმა დაამხო.

თურქები ანტიირანული განწყობისანი იყვნენ. მაშინვე ღაზნელმა სცადა სპარსულის ნაცვლად ისევე არაბული ენის დაბრუნება ირანში, მაგრამ სპარსულ ენაზე აწყობილი სახელმწიფო სტრუქტურების გადაყვანა სხვა ენაზე არცთუ ისე ადვილი აღმოჩნდა. ამავე დროს, ღაზნელები სამანიდების კარზე იყვნენ აღზრდილები, მათ სმე-

ლიტიკურად დაპყრობილმა ირანმა კულტურულად დაიპყრო არა მარტო დამპყრობელი თურქ-სელჩუკები, არამედ მთელ მის იმპერიაში შემავალი ხალხები.

ასე რომ, მახლობელ აღმოსავლეთში არაბებს პოლიტიკურად ჩაენაცვლნენ თურქ-სელჩუკები, არაბულ სალიტერატურო ენას-სპარსული, ხოლო არაბულ-მუსლიმური კულტურას - ახალ თვისობრივ რანგში გადასული სპარსულ-მუსლიმური კულტურა - გაგრძელება არაბულ-მუსლიმური კულტურისა.

ბუნებრივია, თურქ-სელჩუკთა იმპერიამ შეზავალ ყველა ხალხს ჰქონდა თავისი კულტურა, ასევე ბუნებრივია, რომ მათგან გამოსულ ყველა შენაკადს შეჰქონდა რაღაც თავისი საერთო სპარსულ-მუსლიმური კულტურის ოკეანეში. სწორედ ამიტომ გარეგნულად ირანულ ფორმაში გამოხვეული კულტურაში (შუა აზიიდან ეგვიპტემდე) გამჭვირვალედ მოჩანს თურქ-სელჩუკთა მიერ დაპყრობილ ხალხებს თავისთავად, ადგილობრივი ნიდაგაზე განვითარებული კულტურა, ხელთახება, მწერლობა“ (ვ.გაბაშვილი, დასახ. ლიტ.).

აი რატომ არის სპარსულ-მუსლიმური კულტურა, კერძოდ, მისი ერთ-ერთი დიდი შემადგენელი ნაწილი - ლიტერატურა - მსოფლიოში სახელგანთქმული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეს პროცესი გაგრძელდა ირანში მონოლითად და თემურელთა ბატონობის ხანაშიც, რამაც განაპირობა ის, რომ დღეს მთელ მახლობელ აღმოსავლეთში მიმოფანტულა სპარსულენოვანი მხატვრული სიტყვის ისეთ დიდოსტატთა საფლაგები, როგორც არის ნიზამი განჯელისა (XII) - აზერბაიჯანში, ჯელალედ-დინრუმისა (XIII) - თურქეთში, ხოსრო დეჰლევისა - ინდოეთში (XIII-XIX), აბდორ-აჰმანჯამისა (XV) - ავღანეთში და სხვ.

ამ დროს ტერმინი „სპარსი“ ქართველთათვის გახდა სინონიმი ზოგადად მამპადაინისა და კულტურისანი ხალხისა.

აქვე შევნიშნავთ, რომ მონოლითა ხანიდან სპარსი, უარყოფითი შინაარსით, ჩაენაცვლა თათარი, რამაც შეზღავალა ის იმიჯი, რომელიც გააჩნდა

მოდიოდნენ და დაპყრობილ ქვეყნებში თავისი მეურნეობისათვის საჭირო მიწებს იჭრდნენ. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი ზახვასმით აღნიშნავს, თუ როგორ შეუთავსებელი, როგორ ერთმანეთის გამოძიცივებელი იყო ორი მეურნეობა - თურქულ-მომთაბარული და ქართულ-ფეოდალური“ (ნ. ბერძენიშვილი, „საქართველოს რუსეთთან შეერთების ისტორიული მნიშვნელობისათვის“, მნათობი, ნ. გვ. 123, თბილისი, 1954).

ოთხი ათეული წელი გასტანა საქართველოში თურქთა თარეგობა, რასაც ბოლო მოუღო დავითმა და რომელიც 1121 წელს მის მიერ თბილისის არაბთა ბატონობისგან განთავისუფლებით დაგვირგვინდა.

იმ მრავალ ქმედებათაგან

იმ მრავალ გარდამტეხ ქმედებათაგან, რომელიც განახორციელა დავითმა, ამ შემთხვევაში გამოყოფილი ორს: ქვეყნის შიგნით ტოლერანტიზმის დაპყრობასა და ქვეყნის გარეთ - შირვანთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარებას.

ტოლერანტიზმზე ნათლად მეტყველებს არაბ ისტორიკოსთა ცნობები. აი, ზოგი მათგანი:

ალ-ფარაბი: დავით IV-ემ „მოაგო მუსლიმებს უდიდესი პატივი, მეცნიერებს, ღვთისმეტყველებსა და სუფიებს ისეთი ღირსება და პატივი ჰქონდათ, რაც არ ჰქონდათ [თვით] მუსლიმებთანაც კი“.

ალ-ფარაბი: დავით IV და მისი ვაჟი დემეტრე I საჯაროდ გამოხატავენ თავიანთ პატივისცემას ისლამისადმი. ისინი პარსკეობით დადიოდნენ მჭეთში, ისმენდნენ ხუტბასა და ყურანის კითხვას, ასაჩუქრებდნენ ხატებსა და მუზეუმებს“.

ალ-ფარაბი: „მე ვნახე ალიმები, მქადაგებლები, დიდებულები, სუფიები, მლოცველები, რომელთაც მეფე (დემეტრე I) პატივით იღებდა და ასაჩუქრებდა. ის კეთილად ექცეოდა [მათ], რისი მსგავსიც არ არსებობს. მე ვნახე [იქ] ისეთი პატივისცევა მუსლიმებისა, რაც ბაღდადშიც კი არ ექნებოდათ“.

სხვა ცნობები, დავითმა „ააშენა ქარვასლები სტუმართათვის და სახლები მქადაგებელთათვის, სუფიებისა და პოეტებისთვის დაანება მათთვის სტუმართმოყვარეობა“ (ვ. ვაფარაძე, „საქართველო და მახლობელი აღმოსავლეთის ისლამური სამყარო“, გვ. 242, თბილისი, 1995).

შირვანთან მჭიდრო ურთიერთობაზე კი ის მიუთითებს, რომ დავითმა იგი პოლიტიკურად ვასალურ ქვეყანად გაიხიდა, ხოლო დინასტიური ქორწინებით - დაინათვალა - თავისი ქალიშვილი თამარი შირვანშაჰ მანუჩარ მეორეზე დააქორწინა.

პოლიტიკურთან ერთად, გაიდო კულტურული ხიდი ორ ცივილურ სამყაროს - ქრისტიანულსა და ისლამურს შორის.

ადგილობრივი ცენტრის ლიტერატურული ცენტრის

სამანიდებს ტახტი შუა აზიის ქალაქ ბუხარაში ედოთ. სპარსული ლიტერატურის ცენტრიც იქ იყო, რომელიც ხელისუფლებაში ღაზნელთა გამოჩენასთან ერთად, ღაზნაში გადავიდა, ხოლო თურქ-სელჩუკთა მოსვლის შემდეგ, მიუხედავად იმისა, იმპერიის სატახტო ქალაქი ისპაჰანი იყო, მისი გადანაცვლება აღმოსავლეთიდან, ჩრდილოეთ ირანში, კერძოდ, შირვანში მოხდა. შეიქმნა სპარსული ლიტერატურის შირვანის სკოლა, სადაც განვითარების ახალ საფეხურზე ადის სპარსული ლექსი, რომელიც შემდეგ ტონის მიმცემი ხდება სპარსული პოეზიისადმი.

სპარსულ მწერლობაში ცნობილია სამი სტილი, სამი მშვენიერა სპარსული ლიტერატურის: ხორასანული (XI ს.) - იგივე სამანიდური, ერავული (XII-XV სს.) - იგივე აზერბაიჯანული და ინდური (XVI-XVIII სს.) - იგივე ისფაჰანური. ანუ მისი თქმა გვინდა, რომ ერთ-ერთი თვისობრივად განსხვავებული სტილი, რომელიც მოიცავს სპარსული კლასიკური პერიოდის ლიტერატურის უდიდეს პერიოდს (XII-XVI სს.), შირვანის ლიტერატურული სკოლიდან იღებს სათავეს.

სპარსულ მწერლობაში ცნობილია სამი სტილი, სამი მშვენიერა სპარსული ლიტერატურის: ხორასანული (XI ს.) - იგივე სამანიდური, ერავული (XII-XV სს.) - იგივე აზერბაიჯანული და ინდური (XVI-XVIII სს.) - იგივე ისფაჰანური. ანუ მისი თქმა გვინდა, რომ ერთ-ერთი თვისობრივად განსხვავებული სტილი, რომელიც მოიცავს სპარსული კლასიკური პერიოდის ლიტერატურის უდიდეს პერიოდს (XII-XVI სს.), შირვანის ლიტერატურული სკოლიდან იღებს სათავეს.

ერთიანი სივრცე

ასევე მოხდა საქართველოშიც, პოლიტიკური ცენტრის ადგილობრივი ცენტრების დასავლეთიდან აღმოსავლეთში მოჰყვა ლიტერატურული ცენტრის მონაცვლობაც, რის გამოც ორი კულტურის ცენტრი - შირვანისა და საქართველოსი, რომელიც მდებარეობდა თბილისში, გეოგრაფიულად დაუახლოვდა ერთმანეთს.

იმასაც თუ ვაგოთვალისწინებთ, რომ შირვანი ამ დროს საქართველოს ვასალური ქვეყანა იყო, რომელიც 1124 წლიდან შემოიერთა დავითმა, იმისი თქმაც შეიძლება, რომ სპარსული ლიტერატურული ცენტრი ქართულ პოლიტიკურ და კულტურულ სივრცეშიც კი მოექცა, რამაც ხელი შეუწყო ქართულ-ქრისტიანულ და სპარსულ-მუსლიმურ კულტურათა ურთიერთ დაახლოებას.

როგორც წყალი მიშვენილი ნისქვილის ღარზე

მიმდინარე პოლიტიკურ ცვლილებებს მოჰყვა ლიტერატურულ ცენტრთა ურთიერთობანი და, როგორც წყალი მიშვენილი ნისქვილის ღარზე, ისე დაიწყო შემოდინება სპარსულმა ლიტერატურამ ქართულ





მწერლობაში. სამწიგნობროდ, მათგან მხოლოდ „ვისრამიანის“ უბადლო თარგმანმა მოაღწია ჩვენამდე, დანარჩენი არსებობის შესახებ ქართულ მწერლობაში (ფირდოუსის შაჰნამე, ნიზამისა და ონსორის პოემები, ქილილა და დამანა...) ქართულმა ისტორიულმა წყაროებმა შემოგვინახეს მხოლოდ ცნობები.

ასე მაგალითად: „ქართლის ცხოვრებაში“ მემატიანე ერთ ფრაზაში გიორგის „შაჰნამეს“ ოთხ გმირს ადარებს, ესენია: ქაიხოსრო, სპანდარი, თაჰამთა (როსტომი) და სიაოში: „შამამან ძითურთ ძე ტბილ, შემეჟარი მამისა“ („ქართლის ცხოვრება“, ანა დედოფლისეული ნუსხა, ს. ყაუხჩიშვილის რედაქციით, გვ. 3, თბილისი, 1942), რაც იმას მოწმობს, თუ როდენ ნაცნობი და ახლობელი ყოფილან ჯერ კიდევ XII საუკუნეში „შაჰნამეს“ გმირები ქართველთათვის.

თითო მაგალითი „ვეფხისტყაოსნიდან“ და „ვისრამიანიდან“:

„ისრითა მოკლის ნადირი, როსტომის მკლავს უგრძესისა“ (მრუსთაველი, „ვეფხისტყაოსანი“, სტრ. 196/3, თბილისი, 1966).

„ნეტარძი, თუმცა ცხენსა ზედა მჯდომი მამურაღი ვნახო, რომელ პირი ჩემკენ ექმნას და ზურგი მარავისკენ! ნეტარ ვერ ვნახავ ჩემ თუ ის მოსრულსა ჭაბუკად როსტომის საბატონოსა“ (ფაზრ ედრის გორგანელი, ვისრამიანი, აღ. გვახარასა და მ. თოდუას რედაქციით, გვ. 113, თბილისი, 1962).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ „ვისრამიანიში“, სპარსულიდან ნათარგმნ ძეგლებშიც კი, როცა


ვე ფაქტორის არსებობა დაუშვა (იუსტ. აბულაძე, „შაჰნამეს“ ქართული ვერსიების წარმოშობისათვის“, თსუ შრომები, ტ. 53, გვ. 95, თბილისი, 1954).

საბოლოოდ კი გაბატონდა აზრი ამ მოვლენის შიდა ფაქტორის ძალის მომხრეთა სასარგებლოდ. აი, რას წერს აკადემიკოსი ალექსანდრე ბარამიძე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის მიერ 1966 წელს გამოცემული სახელმძღვანელო წიგნის, ქართული ლიტერატურის ისტორიის მეორე ტომში: „ნ. მარის დრონდელ თეორიას ქართული საერო მწერლობის სპარსული ლიტერატურის ზეგავლენით წარმოშობის შესახებ ახლა აღარავინ იზიარებს (ამ თეორიას თავის დროზე ბევრი მიმდევარი ჰყავდა). სადავო არ არის, რომ ისეთი დიდი მასშტაბის მოვლენა, როგორც არის ქართული საერო მხატვრული მწერლობის წარმოშობა, არ შეიძლება უცხოური გავლენით აიხსნას“ (ა. ბარამიძე, „საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარება, ქართული ლიტერატურის ისტორია“, II, გვ. 8, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის შ. რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ისტორიის ინსტიტუტი, თბილისი, 1966).

შეგნიშავთ, რომ ეს კრებული დღემდე სახელმძღვანელო წიგნად არის მიჩნეული. თუმცა აკადემიკოს კორნელი კეკელიძის მაინც დარჩა გაუგებარი ამ მოვლენის არსი და წერს: „ის, რაც საეკლესიო მწერლობის ნიაღში სტიქიურად მზადდებოდა, გარკვეული დროიდან, როდესაც შესაფერისი პირობები მომწიფდა, სახელდობრ, მეფეთმეტე-მეთორ-

აღმოსავლეთი არის აღმოსავლეთი, დასავლეთი კი – დასავლეთი

თანამედროვე მსოფლიოში, პოლიტოლოგთა შორის ([Samuel P. Hantigton, the Clash of Civilizations, Foreign Affairs, summer, V 72 n.p.22 (28), 1993), მუსიერებს რადიარდკიპლინგის მოაზრება ფრაზა: „აღმოსავლეთი არის აღმოსავლეთი, დასავლეთი – დასავლეთი, ისინი ვერასოდეს შეხვდებიან ერთმანეთს“ („Oh, East is East, and West is West, and never the twain shall meet“)



თვალნათლივი ნიმუშია თუნდაც „შაჰნამე“, რომლიდანაც ჩვენს წინაპრებს თავიანთთვის საინტერესო ამბები გადმოვლათ არა თარგმანის, არამედ მიბაძვა-გადმოკეთებისა და ვერსიების სახით.

„შაჰნამე“ მსოფლიოს მრავალ ენაზეა თარგმნილი და ყველგან თავისი სახელი აქვს შენარჩუნებული. ერთადერთი ქართული მწერლობა, სადაც მას არა „შაჰნამე“, არამედ „როსტომიანი“ ეწოდება. ეს იმიტომ, რომ ქართველები მისი მთავარი მითოლოგიური გმირის – როსტომის გარშემო არსებული საგმირი-საფალავნო ამბებით დაინტერესებულან და არა – ირანულ მითოლოგიურ თუ ისტორიულ მეფეთა ისტორიის გადმოცემით.

აღბათ, სწორედ ამიტომ არის, რომ „შაჰნამეს“ გმირთა სახელები: როსტომ (როსტომი), სოჰრბა (ზურაბი), გიგ (გივი), მანუჩარ (მანუჩარი), გოდარზ (გოდერი), ლოჰრასაბ (ლუარსაბი), ჯამშიდ (ჯემშიდი), თაჰმურასაბ (თემურაზი), ქაიხოსრო (ქაიხოსრო) და სხვა, ოდითგანვე ქართულ ეროვნულ სახელებად ქცეულა.

XII საუკუნემდე ქართული ლიტერატურა მოდიდა ერთი ნაკადით – რელიგიურით, XII საუკუნიდან კი მის გვერდით ჩნდება მეორე ნაკადი – საერო.

თუ პირველ ნაკადზე გავლენა მოახდინა ბერძნულმა სასულიერო მწერლობამ, მეორეზე – სპარსულმა საერო ლიტერატურამ. ორივე შემთხვევაში მოხდა ერის ფსიქოლოგიაში მათი გადაფუჭება, რის შედეგადაც მივიღეთ დიდი ქართული სასულიერო და საერო მწერლობა.

სასულიერო მწერლობას ჩვენ არ ვეხებით. საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარება კი, ჩვენი აზრით, უკავშირდება დავით აღმაშენებლის სახელს.

ქიდეპ ერთი ღამსახურების შესახებ

დედაში არ არის ნახსენები „შაჰნამეს“ პერსონაჟი როსტომი, თარგმანში მოხსენებულია, რაც იმის მაჟსტრებილია, თუ როგორი მახლობელი იყო მამის ეს სახელი ქართველი კაცისთვის.

ასევე იმდენად მახლობელია ნიზამი განჯელისთვის ქართული სამყარო, რომ „ხოსროვ-მორინიანიში“ პროტოტიპებად თამარისა და რუსუდანის სახეები იკვეთება (ქ. ფალავა, ნიზამი, გვ. 109, თბილისი, 2014).

ამ დროის ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობებზე მიუთითებს ის ცნობაც, რომ ღემეტრე მეფის დაკრძალვაზე თბილისში ჩამოსულან ორი დიდი შირვანელი პოეტი ხაყანი და ფალაქი.

ეს ის ხაყანი შირვანელია, რომელიც ერთ-ერთ თავის ყასიდაში წერს: ბაგრატიონთა კარი ჩემთვის ყოველთვის ღიააო.

ეს ის ხაყანი შირვანელია, რომლის შემოქმედება, ნიზამის პოეზიასთან ერთად მიბაძვის საგნად იქცა მთელი მახლობელი აღმოსავლეთის მხატვრული სიტყვის ოსტატების.

მას მერე რაც დავითმა ეკლესია დაუმორჩილა სახელმწიფოს და სამეფო კარი საერო კულტურულ-ლიტერატურული ცხოვრების ცენტრი გახდა, ასეთი ცნობები მოულოდნელი არც არის.

ამ დროის საკარო ლირიკაც, რომელიც, სამწუხაროდ, მხოლოდ ფრაგმენტების სახით არის მოღწეული ჩვენამდე, თავისი პოეტური ორგანიზებულიობით, ნათლად მეტყველებს იმაზე, თუ რა დახვეწილი და მაღალი დონის წყობილსიტყვაობა გვქონია XII საუკუნეში.

მაშინ, როცა სპარსული ლიტერატურულმა სკოლამ დიდი გავლენა მოახდინა მთელი მახლობელი აღმოსავლეთის ლიტერატურაზე, რა თქმა უნდა, იგი გარკვეული ტონის მიმცემი იქნებოდა ქართული მხატვრული აზროვნებისათვისაც.

ჩვენი აზრით, შექმნილმა ვითარებამ დიდად შეუწყო ხელი ქართული საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარებას, რომელსაც, ამ დროისათვის, მოყოლებული გრიგოლ ხანძთელიდან, საემპოდ ჰქონდა მომზადებული ლიტერატურული ნიადაგი.

რაც შეეხება ნიადაგის მომზადებას, უფრო შორსაც წავალთ, როგორც ცნობილი ირანისტი ალექსანდრე გვახარია წერს: „დავით აღმაშენებლის ეპოქის საქართველოში სავსებით იყო შემზადებული ნიადაგი კლასიკური სპარსული კულტურის ასათვისებლად, რადგან კარგად იყო ცნობილი მისი ძველსპარსული და ფალაური (სამშალო სპარსული) საფუძვლები“ (ა. გვახარია, „ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების ისტორიიდან“, II, გვ. 131, თბილისი, 2001).

„ვეფხისტყაოსანი“ – ვულკანი საერო მწერლობისა

ქართული მწერლობა მესხეთიდან მეთორმეტე საუკუნემდე, ნამებთა უწყვეტი ჯაჭვით, იყო ჰაგიოგრაფიული. მეთორმეტე საუკუნეში კი მის გვერდით, „ვეფხისტყაოსნის“ სახით, უცებ ამოიფრქვა საერო მწერლობის ვულკანი.

ეს მოულოდნელი მოვლენა იყო არა მარტო ქართულ, არამედ მთელი საქრისტიანოს მწერლობისთვის, რამაც მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ნაწილმა ეს მიიჩნია გარე ფაქტორის ძალიდან – სპარსულიდან მომდინარე (მარი 1989: 251), ნაწილმა – შიდა ფაქტორის (კეკელიძე 1945: 14) და ნაწილმა – ორი-



მეტე საუკუნეებიდან, მკვეთრად გამოიშვლანდა და მხატვრული საერო ლიტერატურის სახით გაიშალა და გაიფურჩქნა. თუმცა შესაძლოა, ასეთი წინასწარი კულტურული პირობები სხვა ქვეყანაშიც არსებობდა, მაგალითად, ბიზანტიაში, მაგრამ იქ საერო ლიტერატურა არ აღმოცენებულა, მაშასადამე, საჭირო იყო კიდევ რაღაც სხვა პირობა“ (ქ. კეკელიძე, „უტიულები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“, გვ. 12, თბილისი, 1945).

ჩვენი აზრით, ის „კიდევ რაღაც სხვა პირობა“, რომელიც ბურუსით იყო მოცული სულმნათი მეცნიერისთვის, საძიებელია სწორედ ქართულ-სპარსულ ლიტერატურულ ურთიერთობებში.

წვილიზარათა დავლოვის ჩარჩობი

მართალია, ამ დროს სპარსული ლიტერატურული ცენტრი მოქცეულია ქართულ პოდილოგიურ და კულტურულ სივრცეში, მაგრამ თვით ქართული ქრისტიანული სამყაროა მოქცეული ისლამურ ოკეანეში, როგორც ერთი კუნძული. საქართველოს ხომ XI საუკუნის 70-იანი წლებიდან, სელჩუკთა იმპერიის ნანგრევებზე წარმოშობილი კონიის თურქული სასულთნო დაუმეზობლდა.

ბუნებრივია, ასეთ პირობებში, ოკეანის ჰავა შეეზავებოდა კიდევ კუნძულის ჰავას, რამაც დააჩქარა და თავისებური იერი მისცა ქართული საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარებას.

სწორედ ამ პირობებში წარმოიშვა „ვეფხისტყაოსანი“, ასე ვთქვათ, ნახავი სპარსულ-მუსლიმური „ოკეანისა“ და ქართულ-ქრისტიანული „კუნძულის“ ჰავისა, რაშიც უნდა ვეძიოთ ამ კომპლექსის უნიკალურობაც.

გამომდინარე აქედან, XII საუკუნის ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი შეიძლება ჩავსვათ ქრისტიანულ და ისლამურ ცივილიზაციათა უნიკალური დიალოგის ოქროს ჩარჩობაში.

(Rudyard Kipling, Poems, Short stories, გვ. 71, Moscow, 1983).

აღმოსავლეთისა და დასავლეთის შორის იგულისხმება ისლამი და ქრიატიანობა, რომლებთანაც საქართველოს მიმართებაზე ი. ჯავახიშვილი წერდა: „აზიისა და ევროპის საზღვარზე მდებარე საქართველო აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ქრისტიანულსა და მაჰმადიანური კულტურისა და განათლების შემთვისებელი და შემეპრთიანებული იყო“ (ი. ჯავახიშვილი ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 306, თბილისი, 1965).



მიგვაჩნია, რომ ეს თემა უსაფუძვლოა, რადგან, ჩვენი აზრით, დიალოგი მათ შორის მოხდა ერთხელ XII საუკუნის საქართველოში და რახან მოხდა ერთხელ, ასევე შეიძლება მოხდეს იგი მომავალშიც.

ცივილიზაციათა დიალოგი შეიძლება შედგეს ორი გზით – მშვიდობიანი და ძალდატანებით. დიალოგი სპარსულ-მუსლიმურ და ქართულ-ქრისტიანულ კულტურათა შორის იმით არის უნიკალური, რომ იგი შედგა მშვიდობიანი გზით, მაშინ როცა საქართველო იყო მძლავრი, დამოუკიდებელი სახელმწიფო და მას კულტურის გამცემი სამყარო მოახვედდა თავზე ძალით თავის ნებას.

მიმართება უცხოურ ლიტერატურასთან

ქართველებს უცხოური ლიტერატურასთან ჰქონდათ იმდენად შემოქმედებითი დამოკიდებულება, რომ თვით რელიგიურ ტექსტებსაც კი, რომლებიც „ღვთის სიტყვად“ ითვლებოდა, იმდენად თავისუფლად ექცეოდნენ, ქრისტიანობაში ქართული ნაკადიც კი შეიტანეს და იმდენად დაშორდნენ დედანს, რომ ხელმეორედაც შეიქნა ისინი სათარგმნი.

ამ დროს ადვილი წარმოსადგენია, თუ რა თავისუფლად მოეპყრობოდნენ ისინი საერო მწერლობას, თანაც მუსლიმურს. მართლაც, ამის

რომ არა დავითი

ჩვენი აზრით, რომ არა დავით აღმაშენებელი: საქართველო იქნებოდა თურქ-სელჩუკთა სამფლობელოში შემავალი ერთ-ერთი ქვეყანა, სადაც სალიტერატურო ენა იყო სპარსული და „ვეფხი, ვისაც მწერლობისა და კულტურის ასპარეზზე დაწინაურება და სახელის მოხვეჭა სურდა, სპარსულად წერდა“ (ვახაშვილი 1980: 14).

ბუნებრივია, საქართველოშიც სალიტერატურო და კულტურის ენა იქნებოდა სპარსული.

მაშინ მიღებული წესის თანახმად, შირვანშაჰ-ალსათანმა, რომელიც იყო დავითის შვილიშვილი – მანუჩარ მეორისა და თამარის ძე, უბრძანა ნიზამი განჯელს გაეღებოდა ლილისა და მაჯუნის სასიყვარულო ამბავი, ოღონდ არა თურქულ, არამედ „მათთვის საკადრის ფარსულზე“.

ნიზამმაც ბრძანება ისე შეასრულა, რომ არაბული სამყაროს სამიჯნურო ამბავი მიეღო სპარსულენოვანი სამყაროს პოეტთა თავდავიწყების თემად იქცა და არა მხოლოდ სპარსულენოვან სამყაროსი.

დღეს ლილისა და მაჯუნის ასეულობით პოეტური ვარიანტი არსებობს, მათ შორის ქართულ ლიტერატურაშიც, რომლის ძირისძირი სწორედ ნიზამის აღნიშნული პოემაა.

ისევე, როგორც შირვანშაჰმა უბრძანა ნიზამი განჯელს გაეღებოდა ლილისა და მაჯუნის ამბავი არა თურქულ, არამედ „მათთვის საკადრის ფარსულზე“, ასევე საქართველოშიც ვინმე შაჰი თუ სულთანი უბრძანებდა ვინმე მესს მელექსეს, ექცია წყობილ სიტყვად რომელიმე ლილისა და მაჯუნის ამბავი, ოღონდ არა ქართულ, არამედ „მათთვის საკადრის ფარსულზე“ და ისიც, შეიძლება, არანაკლებ ნიზამი განჯელზე, შეასრულებდა ბრძანებას.

აქვე ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას: დავით მეფემ რამდენადაც გადაუქცა გზა სპარსულ ენას საქართველოში, იმდენად გაუხსნა კარები ამ ენაზე შექმნილ უდიდეს ლიტერატურას, რამაც დიდად განაპირობა ქართული საერო მწერლობის აღმოცენება-განვითარება.

ეს რომ არ მომხდარიყო მონოლოგებამდე, მონოლოგების მერე როგორ აღმოცენდებოდა და განვითარდებოდა ქართული საერო მწერლობა – საკითხავია.

რომ არა ქართული საერო მწერლობის ასეთი ძლიერი პირველი პერიოდი, რომელიც ოქროს ხანადაა წოდებული ლიტერატურის ისტორიაში, საკითხავია, როგორი იქნებოდა მისი მეორე პერიოდი – ცნობილი ვერცხლის ხანად, როცა ისეთი მძიმე იყო სპარსული ენისა და ლიტერატურის ზენოლა ქართულზე, რომ ქართველი პოეტი თემურაზ პირველი ამბობს: „სპარსული ენის სიტყვობან მას ურგა მუსიკობანი“.

ეს კიდევ არაფერია იმ ტაქთან შედარებით, რაც მოსდევს მას: „მძიმე ენა ქართველთა, არ ძალმის მათებრ თხრობანი“ (თეიმურაზი 1975: 44).

ამ პოეტური სიტყვების ავტორი ხომ უკვე მენტალობით სპარსელია, რითაც ნათლად ჩანს თუ როგორ ეკიდა ბუნებამ ამ დროს ქართული სალიტერატურო ენის ყოფნა-არყოფნის ბუდი.

ასეთ ვითარებაში თემურაზ პირველს უნდა ვუმადლოდეთ, რომ ის მაინც წერდა ქართულად და არა – სპარსულად.

ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ XVIII-XIX საუკუნეებში არა ერთი და ორი გამაჰმადიანებულ ქართველის მხატვრული ქმნილება ამშვენებს სპარსულენოვან მწერლობას.

ამგვარად, რომ არა დავით აღმაშენებელი, XII საუკუნის საქართველოში, და არა მხოლოდ XII საუკუნის, საერო მწერლობა იქნებოდა სპარსულენოვანი.

ნიგნსკოვსკი ნუგაზობლები!

◀ დასაწყისი გვ. 1

ნიგნსკოვსკი ალწერილი სიკვდილის ანუ გარდაცვალების ათასნაირი სცენები, საფლავები, აკლამები, ყორღანები, პირამიდები და გაუშვირავი ურთულესი აზროვნებაცაა ნიგნსკოვსკის უნიკალური ნიშანი. ნიგნსკოვსკის და ბრძნულ განმარტებებს გვაძლევს მეცნიერებაზე, ფილოსოფიაზე, ასტრონომიასა და ასტროლოგიაზე. თეატრზე-კინოზე უღრმესი სწავლებაა მედიცინის, არქეოლოგიის, გეოლოგიის. ნიგნსკოვსკი ნიჭიერი და ჭკვიანი ადამიანთა მკვიდრი სასტუმარია უტკეხი, ათასფერადი სიზმრების და ოცნების ამყრელი, სწავლის მიღების მზიური სხივი. ალბათ, ჩვენი გარდაცვალების მერმეც კითხულობენ ნიგნსკოვსკის ჩვენნი. ერთ-ერთი ნობელიანტი მეორეს წერს: მე თქვენი ნიგნსკოვსკის და ათი წელიწადის სიცოცხლით იმდენ სიამოვნებას არ მივიღებ, რაც შენმა ნიგნსკოვსკიმ მიმიწავა. ნიგნსკოვსკის უნიკალური არქეოლოგიაცაა ძნელად შესასწავლი. და ისევე, ნიგნსკოვსკის უახლოესი და მიუწვდომელი - იდუმალელებით სავსე, ოქრო-ნარმოსახეების და ფანტაზია-მუზის ვერცხლის სკივრი; ნიგნსკოვსკის უნიკალური არანაკლებ სახლობენ ღმერთები და ჩვენი უფალი იესო ქრისტე, მარიამ ღვთისმშობელი, ანგელოზები, მოციქულები და წმინდანები. შესაძლებელია უსასრულო სივრცეზე ბევრად მეტად (ზეცა ხომ, უმდიდრესი ყველაფრის ალწერის საოცრება - მესხიერება, ენციკლოპედია კოსმოსური; სამსუხაროდ, მხოლოდ ღვთისგან რჩეული რომ კითხულობენ ამ უხილავ საგანძურს...) ამიტომ, მეგობრებო, ნიგნსკოვსკის მოეპყარით როგორც უნიკალურ ხატებს, ჯვარს და ეკლესიებს; ნიგნსკოვსკის ძვირად შენაძენ ფუფუნებაზე, სიმდიდრეზე, ოქროზე, ვერცხლზე, ბრილიანტზე, ფულსა თუ ძვირფას ქარვასლებზე ბევრად უნიკალური და უფლისკენ მავალი იალქნიანი მზისფერი ხომალდია. უხსოვარი დროიდან მოყოლებული ნებისმიერი ნიგნსკოვსკის მიცვალებულის საფლავში ჩაყოლებას ერიდებოდნენ, რადგან ის უკვდავი სიცოცხლე და სული იყო; სულის მინისქვეშეთში ჩაშვება სამყაროს უზენაესისაგან მიუღებელია. დიადური მზისა არ იყოს, მხოლოდ მისი უკვდავი სხივია ყველგან მწვდომი. ნიგნსკოვსკის უნიკალური შემართება... როდესაც მდიდარი ნიგნსკოვსკი - ბიბლიოთეკა გაგაჩნია, ეს იმას ნიშნავს, რომ მრავალსულიანია შენი ოჯახი, მცირე პლანეტაა, პანთეონია ყოველთა მნიშვნელოვანთა და დიდებულთა სავანე... ნიგნსკოვსკის უარყოფით და დადებით გმირთა მოსვლა-წასვლა-გარდაცვალებაა, შობა და სიხლე უსასრულოდ; ქვეყნიერების - დედამიწის, კოსმოსის ალწერა - მრავალსახეობის და ცემათა გაშლა; ნიგნსკოვსკის ყველ-

გან და ყველასთან მწვდომი, მხატვრობაა ურთულესი; პოეზია უძირო, თავად ხომ ლამაზია დროსთან შეხამებული; მისი შემქმნელი ავტორის დიდება და სახელია უკვდავებით. ნიგნსკოვსკის ნიჭი ინახავს და გენიის ციხესიმაგრეა; უნიჭობას თვითნებურად დევნის, ანუ დაბალი ერთეული ერთობლივად იკარგებიან. ნიგნსკოვსკის ჩვენში უკლებლივ ყველაფერს განიცდის და გარემოსგან მძაფრად დამუხტულია. ნიგნსკოვსკის რძესავით საამოა და ყოველთა მკვებავ-ალმზრდელი ძუძუა. არ დავიწყებოთ, მეგობრებო, ნიგნსკოვსკის ჰომეროსია, დანტეა, სერვანტესია, შექსპირია, რუსთაველია, ომარ ხაიამია, ბალზაკია, ბუდას მოძღვრებაა, ალაჰის სწავლებაა. ნიგნსკოვსკის ებრაული საოცარი ნიჭის და სიბრძნის სკივრია: ბიბლიაა, ათი მცნებაა და მოსეს დაბადებას ინახავს, ოთხთავია მარადიული. ნიგნსკოვსკის ალწერილი და გაშიფრული უძველესი იეროგლიფები და ეგვიპტურ-ბაბილონური ღვთიურ-მისტიკური ხელოვნების და აზროვნების იდუმალელები. ნიგნსკოვსკის ალექსანდრიის ბიბლიოთეკა, წმიდა დავით აღმაშენებელი ნიგნსკოვსკის ატარებდა ყველგან და ომშიც... ნიგნსკოვსკის ათენის უდიდესი აკადემია, თანადროულად ჩვენი სიამაყე ფაზისისა. ნიგნსკოვსკის და ქართულმა დამწერლობამ ღვთიურ დონეზე აამალა გელათის და იყალთოს აკადემიები.

ატლანტიდების სამოცდაათი ათასი სქელტანიანი უნიკალური ნიგნსკოვსკის რომლებიც დაინვა ალექსანდრიის უდიდესი ბიბლიოთეკის ხანძრისას, რაზეც გულდათუთქული მთელი ცხოვრება მოთქვამდა დიდი რუდოლფ შტაინერი: სრულყოფილი სწავლება ყოფილა კოსმოსზე და, საერთოდ, სამყაროზე. ალექსანდრიის ფანატიკურმა ცეცხლმა შთანთქა ღვთიური აზროვნება და ადამიანები დიდი ხნით ჩამოშორდნენ ვარსკვლავთური კულტურის სწავლების იდუმალეებს. ან დალუპულია ნიგნსკოვსკის ჩვენი ათასწლეულის ქალაქის სულიერი საშო ადამიანური ბუნებისა. ვიმეორებ, მრავალ ათასწლეუანი კულტურა და ცივილიზაციები ნიგნსკოვსკის პირველად დაიწერა თიხაზე, ქვაზე, მეტალზე, პაპირუსზე, ხეზე, კედლებზე, ეტრატზე და, ბოლოს, - თანამედროვეობის და მომავლის სიმდიდრე - ქალაქზე.

ჩემს ფერხთით რომ დალაგონ მთელი მსოფლიოს სამეფოების გვირგვინები, ჩემი ნიგნსკოვსკისა და კითხვის სიყვარულის სანაცვლოდ, მე ყველას უარყოფდი - ფენელონი.

ნიგნსკოვსკის გულგრილად ნუ მოეკიდებით, მეგობრებო და უფალივით ის არასოდეს გიღალატებთ!

მხატვარ-მწერალი
კიზო ალაშია
2017 წ. 05 იანვარი

როლანდ თოფჩიშვილი

(გაგრძელება.)
დასაწყისი N11-12, 2016, N1-2017)

ზემოთ აღვნიშნეთ, რომ გამაჰმადიანების პროცესი მე-19 საუკუნეშიც მიმდინარეობდა. ამას ზოგიერთის თათრად ჩანდებოდა მამის სახელებიცა და გვარებიც მიუთითებენ. სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში გამაჰმადიანება-გათურქების ახლად დაწყებული პროცესის შესახებ ნ. მარმაჯ მიუთითა: «Сейчас за ручьем Гигадзис-Цкали в

და სხვები იბრძოდნენ სწორედ სომხურის ლათინური ტიპიკონის შეცვლისათვის (იხ. გ. კუტალაძე, გ. უფუნაშვილი, ი. ტალახაძე. რუსეთის იმპერიული პოლიტიკა და მესხი კათოლიკეები. - კრებული: „მარიამ ლორთქიფანიძე-85“, თსუ გამომცემლობა, 2007, გვ. 306-313). საოჯახო სიების მიხედვით, ქალაქ ახალციხის გარდა, სომხური კათოლიკური ტიპიკონის მიმჩნეველი მოსახლეობა გვხვდებოდა სოფლებში: არალში, ვალეში, უდუში, ვარგავში, ხიზაბაგრაში (ორი უკანასკნელი სოფელი ახალქალაქის მახრამში შედიოდა). ოფიციალურად გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემებით

არიან 1828 წელს. ქართველი კათოლიკეები, ისინი გამაჰმადიანებული არიან“. გ. ბოჭორიძეს 1930-იანი წლების დასაწყისში გულმოდგინედ გადმოუწერია ახალციხელ ქართველ კათოლიკეთა საფლავის ქვების ეპიტაფიები, რომლებიც ძირითადად XVIII საუკუნის ბოლოში და XIX საუკუნის დასაწყისით თარიღდება. ყველა ისინი ქართულ ენაზეა შესრულებული (გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 142). 1886 წლის საოჯახო სიებით ირკვევა, რომ სამცხე-ჯავახეთის სოფელი ახალქალაქის მახრამში შედიოდა). ოფიციალურად გამოქვეყნებული სტატისტიკური მონაცემებით



სამცხე-ჯავახეთის

სოფელ ხიზაბაგრას მოსახლეობა (137 კომლი, 1 274 სული) სომხებადაა მიჩნეული (Свод статистических данных о населении Закавказского края извлеченных из посемейных списков 1886 г. 1886 წლის საოჯახო სიების დედნის მიხედვით კი ხიზაბაგრას მოსახლეობა ქართველი კათოლიკეები იყვნენ (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N2064, გვ. 1-166). ზოგიერთ ქართველ კათოლიკეს გამოკვეთილად სომხური გვარი ჰქონდა, მაგრამ საოჯახო სიების დედნებში მათი ადრინდელი ქართული გვარებიცაა ფიქსირებული. მაგალითად, სოფელ უდუში ცხოვრობდნენ ქართველი კათოლიკეები კაზაროვები, ვართანოვები და ბაღდოვები. კაზაროვების ადრინდელი ქართული გვარი გზირიშვილი ყოფილა, ნარიშვილებისა - აბულაძეშვილი, ყულიჯანოვებისა - პეტრეშვილი, ბუხიელებისა - გრიგოლაშვილი, ვართანოვებისა - აბულაძე და ბაღდოვებისა - აბულაძე (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1852, გვ. 52-189). 1932 წელს ვალეში სულ 400 კომლი ცხოვრობდა. „ამათში ქართველი კათოლიკეები - 250 კომლი, ქართველი მართლმადიდებლები - 60, ქართველი მაჰმადიანები - 90 კომლი. ქართველ მაჰმადიანთა გვარები: ჭაჭავაძე - 2 კომლი, ამილახვარი - 3 კომლი, ბოჭორიძე - 5 კომლი, ჩიტაძე - 2 კომლი, ბერიძე - 7 კომლი, ნადირაძე (-ტირილანტები) - 6 კომლი, კაპანაძე“ (გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 160. ნადირაძეთა „ჩამომავლები ქართველი მაჰმადიანებაც არიან და ქართველი მართლმადიდებლებიც“). სომხურ-კათოლიკური ტიპიკონის ქართველები მკვიდრობდნენ ჯავახეთშიც: „კარტიკამი, ხულგუშო, ბაგრა, ტურცხი, ესენი არტაანის ოლქის სოფელ ურიდან გადმოსული

სოფელ ხიზაბაგრას მოსახლეობა (137 კომლი, 1 274 სული) სომხებადაა მიჩნეული (Свод статистических данных о населении Закавказского края извлеченных из посемейных списков 1886 г. 1886 წლის საოჯახო სიების დედნის მიხედვით კი ხიზაბაგრას მოსახლეობა ქართველი კათოლიკეები იყვნენ (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N2064, გვ. 1-166). ზოგიერთ ქართველ კათოლიკეს გამოკვეთილად სომხური გვარი ჰქონდა, მაგრამ საოჯახო სიების დედნებში მათი ადრინდელი ქართული გვარებიცაა ფიქსირებული. მაგალითად, სოფელ უდუში ცხოვრობდნენ ქართველი კათოლიკეები კაზაროვები, ვართანოვები და ბაღდოვები. კაზაროვების ადრინდელი ქართული გვარი გზირიშვილი ყოფილა, ნარიშვილებისა - აბულაძეშვილი, ყულიჯანოვებისა - პეტრეშვილი, ბუხიეებისა - გრიგოლაშვილი, ვართანოვებისა - აბულაძე და ბაღდოვებისა - აბულაძე (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N1852, გვ. 52-189). 1932 წელს ვალეში სულ 400 კომლი ცხოვრობდა. „ამათში ქართველი კათოლიკეები - 250 კომლი, ქართველი მართლმადიდებლები - 60, ქართველი მაჰმადიანები - 90 კომლი. ქართველ მაჰმადიანთა გვარები: ჭაჭავაძე - 2 კომლი, ამილახვარი - 3 კომლი, ბოჭორიძე - 5 კომლი, ჩიტაძე - 2 კომლი, ბერიძე - 7 კომლი, ნადირაძე (-ტირილანტები) - 6 კომლი, კაპანაძე“ (გ. ბოჭორიძე. მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 160. ნადირაძეთა „ჩამომავლები ქართველი მაჰმადიანებაც არიან და ქართველი მართლმადიდებლებიც“). სომხურ-კათოლიკური ტიპიკონის ქართველები მკვიდრობდნენ ჯავახეთშიც: „კარტიკამი, ხულგუშო, ბაგრა, ტურცხი, ესენი არტაანის ოლქის სოფელ ურიდან გადმოსული

მიერ ჯერ სამცხე-ჯავახეთისა და შემდეგ შავშეთის, კლარჯეთისა და ტაოს, ოლთისის მხარის შემოერთებამ ქართული მაჰმადიანთა მასობრივი აყრა-გადასახლება გამოიწვია. ეთნოგრაფიული მასალებით, თითქმის მთლიანად დაცლილა მურულუს ხეობა. თუმცა, მას შემდეგ, რაც მიგრანტებთან ხმამ მიაღწია, რომ „გაიურები“ არავის ეჩიოდნენ, მათი ნაწილი 7-10 წლის შემდეგ უკან დაბრუნებულა. მუჰაჯირობის პროცესი სამცხე-ჯავახეთიდანაც ხდებოდა. ამავე დროს გრძელდებოდა ოსმალეთიდან ადრე დაწყებული სომეხთა მიგრაციაც. მთლიანად თურქეთში გადასახლებულა სოფელ კოლათხეთის მოსახლეობა (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქმე N1843, გვ. 40-42). მარტო 1885 წელს კლდის სასოფლო საზოგადოების სხვადასხვა სოფლიდან 58 კომლი გადასახლებულა (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქმე N1843, გვ. 192-212). ურავლის სასოფლო საზოგადოების სხვადასხვა სოფლიდან თურქეთში გადასახლებულა 37 ოჯახი. მაგალითად, პატარა აგარიდან ერთი ოჯახი 1889 წელს მიგრირებულა, სოფელ ანდადან - 2 კომლი 1876 წელს, სოფელ ლობიეთიდან - ერთი კომლი 1873 წელს, სოფელ ნეორძიდან - 2 კომლი 1896 და 1901 წლებში (ნეორძიდან სამი სული თურქეთში 1847 წელსაც წასულა - სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ. N2068, გვ. 188), სოფელ შურზელიდან - 4 კომლი 1896 წელს, სოფელ ღრელიდან - ერთი კომლი 1900 წელს, იდუმალის სასოფლო საზოგადოების სოფელ აბაშენიდან - ორი კომლი 1887 წელს, ამავე საზოგადოების სოფელ დიდი ვარნეთიდან - 3 კომლი 1887 წელს (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქმე N1852, გვ. 1-6). 1889 წელს ლეფინის საზოგადო-

Trileri Wordpress

ჰამლეტი
უილიამ შექსპირი

პიკის ქალი
ალექსანდრე პუშკინი
Trileri Wordpress.Com

ების სოფელ ლეფინიდან თურქეთში ერთი კომლი გადასახლებულა (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქმე N1843, გვ. 7). ამავე საზოგადოების სოფელ ნიალადან თურქეთში 4 კომლი გადასახლებულა 1862 წელს (სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ. N2069, გვ. 90-94). უდეს საზოგადოებიდანაც ბევრი წასულა. საარქივო დოკუმენტში შენიშნულია, რომ „თურქეთში პასპორტით წასულები და უკან აღარ დაბრუნებულენი.“ სოფელ კახარეთიდან - 2 კომლი, სოფელ ლელონიდან - 4 კომლი, სოფელ კარათუბნიდან - ერთი კომლი, სოფელ სამხრედან - 3 კომლი, სოფელ უდედან - 3 კომლი, სოფელ ნარბათუბნიდან - 4 კომლი (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქმე N1852, გვ. 10-19). 1886 წლის მონაცემებით, ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობდნენ კლდის სასოფლო საზოგადოების სოფელ ფერსაში (34 კომლი, 278 სული). 1873 წლის კამერალური აღწერის დავთრით ირკვევა, რომ თავის დროზე ფერსას მკვიდრნი აყრილან და თურქეთში გადასახლებულან, მაგრამ 12 კომლი 1869 წელს უკან მობრუნებულა (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N283, გვ. 184-190). 1850 წლის დავთარი უფრო აზუსტებს ფერსელი მაჰმადიანი ქართველების მიგრაციის ფაქტს. ამ დროს სოფელში 24 ოჯახი იყო აღრიცხული. ამ სიას თან ახლავს მინაწერი, რომ „ყველა ესენი 1854 წელს სამუდამოდ გადასახლდნენ თურქეთში“ (სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ. N2068, გვ. 122-124). თურქეთში მიგრირებულებს ასა-

არაერთი შემთხვევაა დაფიქსირებული 1850 წლის აღწერაში. მაგალითად, ამ დროისათვის სოფელ ალჯუში სულ ხუთი კომლი მაჰმადიანი იყო აღრიცხული, რომელთაგან 2 კომლი 1861 წელს თურქეთში „გაქცეულა“ (სცსსა, ფონდი 254, ან. 2, საქ. N122, გვ. 51). 1830-იან წლებში მაჰმადიანი ჯავახები ახლოს - ყარსის მხარეს დასახლებულან, მაგრამ მოგვიანებით (1878 წელი) რუსეთის იმპერიის მიერ ყარსის შემოერთების შემდეგ, ისინი შორს - თურქეთის სიღრმეში გადასახლებულან. 1873 წლის კამერალური აღწერის დავთარის თანახმად სამცხეში დროებით ქისტებსაც უცხოვრიათ. აღწერის დავთარს გვიანდელი მინაწერები ახლავს. ამ გვიანდელი მინაწერიდან ირკვევა, რომ ლეფინის საზოგადოების სოფელ არდახში 1890 წელს 5 ოჯახი ქისტი გადმოსახლებულა „დუშეთის მაზრის სოფელ გვილეთიდან“ (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N282, გვ. 25-28), ე. ი. ხევის სოფელ გვილეთიდან, სადაც ინგუშები ცხოვრობდნენ. 1897 წელს ქისტების ეს 5 ოჯახი აქედან აყრილა და თურგის ოლქში გადასახლებულა. გვილეთელი ინგუშები იმავე პერიოდში ხერთვისის სასოფლო საზოგადოების სოფელ აზგუშდამიკ იყვნენ გადმოსახლებულნი. ინგუშების 7 კომლს უცხოვრია ვალეს საზოგადოების სოფელ არყის-ციხეშიც, რომლებიც სხვა თანამემამულეების მსგავსად 1898 წელს თურგის ოლქში გადასულან (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქმე N282, გვ. 198-200). 1890-1898 წლებში გვილეთელი ინგუშების 3-3

ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეების (ფოცხოვის, არტაანისა და კოლას) მაჰმადიანი და თურქულენოვანი მოსახლეობა თურქებადაა ჩანერლი. თარაქამები/ყარაფაჯახები ცხოვრობდნენ რამდენიმე სოფელში: დიდი ვარნეთი, პატარა ვარნეთი, ფანაკეთი, არტახი, ქარზამეთი, გავეთი (გ. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 213). ამ სოფლების მკვიდრი თარაქამებიც XIX საუკუნის აღწერის დავთრებში თათრებად არიან აღწერილი. 1831 წელს თარაქამების ნაწილი ჯავახეთიდან აუყრიათ და დასახლეს ნიალის ველზე - ერუშეთის იმ ნაწილში, რომელიც რუსეთის იმპერიის საზღვრებში შედიოდა. 1886 წლის აღწერით ნიალის ველზე შექმნილი იყო ლეპისის საზოგადოება. ამ საზოგადოების სოფლები: ლეპისი, ვანი, ქარზამეთი, კონდარა, ტამლოყშილა, ალანძია, არტახი, გავეთი, ვარნეთი, ფანაკეთი და სხვ. თარაქამებით იყო დასახლებული (შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუა წლებიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე), თბ., 1975, გვ. 268-). ეს თურქული ტომები ცხოვრობდნენ აგრეთვე სოფლებში: კოპაძე, იფინეთი, კაკაველი, ნაზრევი, დილიკა, ურავლის ხეობა. როგორც ცნობილია, ახალციხის საფაშოში ორი რიგის თარაქამა ცხოვრობდა. ერთნი გადმოსახლებულნი იყვნენ მე-18 ს. ბოლოს, ხოლო მეორენი მე-19 ს. პირველ მეოთხედში. ყველა თარაქამა გადმოსული იყო ქვემო ქართლიდან“ (შ. ლომსაძე, სამცხე-

ჯავახეთის ქართული მოსახლეობა (ჯავახეთის მოსახლეობის მიგრაცია XVII-XVIII საუკუნეებში), გვ. 60). ზემოთ ვისაუბრეთ ცარიზმის მიერ სომხების სამცხეში 1829-1830 წლებში ორგანიზებული გადმოსახლების შესახებ. XVII-XVIII საუკუნეებში ქართული (როგორც მუსლიმი, ისე ქრისტიანი) მოსახლეობის მიგრაციამ და მათ ადგილას არზრუმელი სომხების ჩამოსახლების შედეგად აქ ეთნიკური ვითარება რადიკალურად შეცვალა. ვითარება არც რუსთა შემოსვლის შემდეგ შეცვლილა: 1828-1829 წლებში სწრაფი ტემპით მიმდინარეობდა ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობის აყრა-გადასახლება და მამულების ყიდვა-გაყიდვა (შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუა წლებიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე), თბ., 1975, გვ. 138). ამრიგად, წარმოდგენილი საარქივო მასალები და საისტორიო წყაროები მნიშვნელოვანი დასკვნების მიღების საშუალებას იძლევა. ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, მათ შორის, სამცხე, აშკარა, რომ XVI საუკუნის ბოლოს სამცხის მოსახლეობა ქართული იყო. ისინი ქართველობას ინარჩუნებდნენ XVIII საუკუნეშიც, რადგან მხარის მასობრივი ისლამიზაცია ჯერ კიდევ დაწყებული არ იყო. ამ საუკუნის პირველ ნახევარში მხოლოდ ზედაფენი იყო გამაჰმადიანებული, გლეხობა კი ისევ ქრისტიანობას ინარჩუნებდა. ბუნებრივია, ქართველებს ენა, კულტურა და ეთნიკურობა კვლავ შენარჩუნებული ჰქონდათ. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან კი სამცხეში ქართველთა

ეთნიკური ისტორიის


ხელებს 1850 წლის აღწერაც. კერძოდ, სოფელ ტრიბონიდან (ურავლის სასოფლო საზოგადოება) 1862 წელს - 5 კომლი წასულა. 1850 წლის კამერალური აღწერის დავთარში დაფიქსირებულია, რომ ვალეს საზოგადოების სოფელ ჭარალიდან 6 ოჯახი 1849 წელს გაიქცა თურქეთში. თურქეთში წასულან „ომის დროსაც“ (სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ. N2068, გვ. 200-202). ამ სოფლის ბევრები, როგორც ირკვევა, ავალოშილები იყვნენ (გ. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, გვ. 57). სამცხედან თურქეთში გაქცევაზე საუბარი 1850 წლის აღწერაში, რომელიც სოფელ ორცეფს (ურავლის საზოგადოება) სხება. სოფელში აღრიცხულ ხუთივე ოჯახს მიწერილი აქვთ, რომ „ყველანი გაიქცნენ საზღვარგარეთ თურქეთში“ (სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ. N2069, გვ. 97). ამავე დავთარში შეტანილია სოფელი ჩორჩოც, რომელსაც ასეთი განმარტება აქვს: „ეს სოფელი შედგებოდა სულ ერთი კომლისაგან, რომლებიც 1849 წელს გაიქცნენ თურქეთში“ (სცსსა, ფ. 254, ან. 2, საქ. N2069, გვ. 157). ძალიან ბევრი მიგრირდა თურქეთში ჯავახეთიდანაც; ჯავახეთის მკვიდრი ქართველი მაჰმადიანების მიგრაცია უფრო მასშტაბური იყო, ვიდრე სამცხედან. ფაქტობრივად მაჰმადიანი მოსახლეობის ძირითადი ნაწილი აქედან თურქეთში გავიდა, ხოლო ქრისტიანების დიდი რაოდენობა XVII-XVIII საუკუნეებში ქართლში გადასახლდა (რ. თოფჩიშვილი, სად წავიდა ჯავახეთის ქართული მოსახლეობა (ჯავახეთის მოსახლეობის მიგრაცია XVII-XVIII საუკუნეებში), თბ. 2000). XVIII საუკუნის 70-იან წლებში გერმანელი გიულდენშტედი წერდა: „ჯავახეთი არის ქართული მხარე, რომელიც აყვამად მთლიანად თურქების ხელშია“ (გიულდენშტედის მოგზაურობა საქართველოში, ტ. I, გვ. 175-176). ქართლში მიგრირებულ ჯავახებს შორის იყვნენ მაჰმადიანებიც, რომლებსაც, როგორც ჩანს, ისლამი ახალი მიღებული ჰქონდათ და გადმოსახლების შემდეგ ისინი მაშინვე კვლავ ქრისტიანებად ინათლებოდნენ. ჯავახეთიდან თურქეთში ადგილობრივთა მუჰაჯირად წასვლის

კომლს დიდ ვარნეთსა (იდუმალას საზოგადოება) და ვანშიც (ლეფინის საზოგადოება) უცხოვრია (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქმე N282, გვ. 312-318, 332-335). 3 კომლს ქისტს 1890-1895 წლებში ლეფინის საზოგადოების სოფელ გურბაგა-ოლშიც უცხოვრია (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქმე N282, გვ. 394-396), საიდანაც ახალციხისავე მაზრის სოფელ პაზარხანაში გადასულან. ქისტებს 1890-1896 წლებში ურავლის საზოგადოების სოფელ ეთტელშიც უცხოვრიათ. ქისტების 5 კომლი ბინადრობდა ლეპინის საზოგადოების სოფელ ნიალაში 1890-1896 წლებში (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქმე N282, გვ. 942-951). 1873 წლის აღწერით სოფელ რუსთავეში მართალია 4 კომლი ქურთი ცხოვრობდა, მაგრამ მათ 1890 წელს გვილეთელი ინგუშების 5 ოჯახი შემატებიათ. სხვა თანამემამულეების მსგავსად ისინი 1896 წელს თავის სამშობლოს დაბრუნებთან (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N283, გვ. 206-207). იმავე პერიოდში ქისტებს უცხოვრიათ ურავლის საზოგადოების სოფელ ტრიბონშიც (5 კომლი) (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N283, გვ. 408). XIX საუკუნის რუსული ადმინისტრაციის მიერ ჩატარებულ აღწერებში ერთმანეთისაგან გამოიჯნული არიან თათრები და თურქები. ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების მაჰმადიანი მოსახლეობა თათრებადაა აღრიცხული, თუმცა ამ თათრების საოჯახო სალაპარაკო ენა თურქულია. 1886 წლის საოჯახო სიებში ახალციხის მაზრაში, ანუ სამცხის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში მხოლოდ 31 კაცია თურქად დაფიქსირებული. ვფიქრობთ, რომ ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობა თათრად იმიტომაცა ჩანერლი, რომ ისინი წარმომავლობით თურქები არ არიან, მხოლოდ გამაჰმადიანებული თურქები არიან. ცნობილია, რომ XX საუკუნის 20-იან წლებშიც კი ისინი თავიანთ თავს თურქებს არ უწოდებდნენ. მიჯნავდნენ თურქებისაგან თავს და თვით სახელწოდებად „იერლის“ გამოიყენებდნენ. ჯერჯერობით ამ დიფერენცირებულ მიდგომის შესახებ სხვა ახსნა არ გავიანია. საყურადღებოა, რომ იმავე საოჯახო სიებში საქართველოს სხვა

კომლს დიდ ვარნეთსა (იდუმალას საზოგადოება) და ვანშიც (ლეფინის საზოგადოება) უცხოვრია (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქმე N282, გვ. 312-318, 332-335). 3 კომლს ქისტს 1890-1895 წლებში ლეფინის საზოგადოების სოფელ გურბაგა-ოლშიც უცხოვრია (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქმე N282, გვ. 394-396), საიდანაც ახალციხისავე მაზრის სოფელ პაზარხანაში გადასულან. ქისტებს 1890-1896 წლებში ურავლის საზოგადოების სოფელ ეთტელშიც უცხოვრიათ. ქისტების 5 კომლი ბინადრობდა ლეპინის საზოგადოების სოფელ ნიალაში 1890-1896 წლებში (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქმე N282, გვ. 942-951). 1873 წლის აღწერით სოფელ რუსთავეში მართალია 4 კომლი ქურთი ცხოვრობდა, მაგრამ მათ 1890 წელს გვილეთელი ინგუშების 5 ოჯახი შემატებიათ. სხვა თანამემამულეების მსგავსად ისინი 1896 წელს თავის სამშობლოს დაბრუნებთან (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N283, გვ. 206-207). იმავე პერიოდში ქისტებს უცხოვრიათ ურავლის საზოგადოების სოფელ ტრიბონშიც (5 კომლი) (სცსსა, ფ. 254, ან. 3, საქ. N283, გვ. 408). XIX საუკუნის რუსული ადმინისტრაციის მიერ ჩატარებულ აღწერებში ერთმანეთისაგან გამოიჯნული არიან თათრები და თურქები. ახალციხისა და ახალქალაქის მაზრების მაჰმადიანი მოსახლეობა თათრებადაა აღრიცხული, თუმცა ამ თათრების საოჯახო სალაპარაკო ენა თურქულია. 1886 წლის საოჯახო სიებში ახალციხის მაზრაში, ანუ სამცხის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეში მხოლოდ 31 კაცია თურქად დაფიქსირებული. ვფიქრობთ, რომ ადგილობრივი მაჰმადიანი მოსახლეობა თათრად იმიტომაცა ჩანერლი, რომ ისინი წარმომავლობით თურქები არ არიან, მხოლოდ გამაჰმადიანებული თურქები არიან. ცნობილია, რომ XX საუკუნის 20-იან წლებშიც კი ისინი თავიანთ თავს თურქებს არ უწოდებდნენ. მიჯნავდნენ თურქებისაგან თავს და თვით სახელწოდებად „იერლის“ გამოიყენებდნენ. ჯერჯერობით ამ დიფერენცირებულ მიდგომის შესახებ სხვა ახსნა არ გავიანია. საყურადღებოა, რომ იმავე საოჯახო სიებში საქართველოს სხვა

დუხოზორი ცხოვრობდა, რომლებსაც 1880-1890-იან წლებში კიდევ 17 ოჯახი დამატებია (სცსსა, ფონდი 254, ან. 3, საქ. N275, გვ. 617-630). იმავე დროს 23 კომლი დუხოზორი დამატებია ორლოვეკაში მცხოვრებ 110 კომლს (სცსსა, ფონდი 254, ან. 3, საქ. N276, გვ. 152-169). როდინოვეკაში კი 85 კომლი დუხოზორს 1901 წელს 28 კომლი დუხოზორი დამატა, რომლებიც არა რუსეთიდან, არამედ ბორჩალოს მაზრის სოფელ ორომპენიდან იყვნენ გადმოსული (სცსსა, ფონდი 254, ან. 3, საქ. N276, გვ. 248-270). სოფელ სპასოვეკაში მცხოვრებმა დუხოზორებმა კი შეესება 10 კომლის სახით 1903 წელს მიიღეს. სოფელ ტროიკოეში 1873 წლამდე 52 კომლი დუხოზორი ცხოვრობდა. 26 კომლი მათ 1869-1871 წლებში ელიზავეტპოლის გუბერნიიდან, ხოლო 1898 წელს კიდევ 21 კომლი დამატებიათ (სცსსა, ფონდი 254, ან. 3, საქ. N275, გვ. 409-442). საზი უნდა გავსახსნა იმ გარემოებას, რომ სამცხეში და, საერთოდ, ისტორიულ სამხრეთ-დასავლეთ

საქართველოში რუსეთის გამოჩენამდე არსებული ეთნოგრაფიული ვითარების სრულყოფილად გარკვევა ერთგვარად ჭირს, რადგან მდგომარეობა ამ თვალსაზრისით მუდმივად ცვალებადი იყო. აღნიშნულ მხარეებში და, საერთოდ, საქართველოში ეთნოგრაფიული ვითარებას არანაკლები ზიანი შავი ჭირის ეპიდემიამ მიაყენა, რომელიც აქ 1811-1812 წლებში მძვინვარებდა. დროის ამ მონაკვეთში შავმა ჭირმა დასავლეთ საქართველოს მოსახლეობასთან ერთად, შემუსრა სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობაც. „მაშინ სამცხე-ჯავახეთში ბევრი სოფელი ამოვარდა და გაუქმდა“ (შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი (XVIII საუკუნის შუა წლებიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე), თბ., 1975, გვ. 138). ამრიგად, წარმოდგენილი საარქივო მასალები და საისტორიო წყაროები მნიშვნელოვანი დასკვნების მიღების საშუალებას იძლევა. ოსმალეთის იმპერიის შემადგენლობაში აღმოჩნდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარეები, მათ შორის, სამცხე, აშკარა, რომ XVI საუკუნის ბოლოს სამცხის მოსახლეობა ქართული იყო. ისინი ქართველობას ინარჩუნებდნენ XVIII საუკუნეშიც, რადგან მხარის მასობრივი ისლამიზაცია ჯერ კიდევ დაწყებული არ იყო. ამ საუკუნის პირველ ნახევარში მხოლოდ ზედაფენი იყო გამაჰმადიანებული, გლეხობა კი ისევ ქრისტიანობას ინარჩუნებდა. ბუნებრივია, ქართველებს ენა, კულტურა და ეთნიკურობა კვლავ შენარჩუნებული ჰქონდათ. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან კი სამცხეში ქართველთა



გავრძელება იქნება

სანდრო ხოზარაძე

„ღრმად მწამს, რომ ქართველი ვარ. თუ ღმერთმა ადამიანი მიწისგან შექმნა, მაშინ ჩვენ მესხეთის მიწისგან ვართ შექმნილი. სხვაგან ფუფუნებაში ცხოვრებას ჩემი სოფლის - ტობის ნანგრევებს ვარჩევ... მე ვიპოვე ის ადგილი, სადაც ჩვენი სახლი იყო. ყური დავადე მიწას. მაგშირი სიღრმიდან მომესმა: „ეი! იასონ! სად ხარ ამდენ ხანს! იცოდა, იასონ, მე კი არა ვარ შენი, შენ ხარ ჩემი! ვფიცავ, მე ეს ვაგიგონე“... - ეს სიტყვები ეკუთვნის რეპატრირებულ მესხ იასონ ვარსკელიძეს (http://www.opentext.org.ge/index.php). ამგვარი და კიდევ უფრო ძლიერი განცდები ახლავს გასახლებულთა ნებისმიერ შეხვედრას მშობლიურ მიწასთან. ამიტომაცაა, რომ უამრავი პრობლემა, ნინაღამდეგობის მიუხედავად, დეპორტირებულთა შთამომავლები სამშობლოში დაბრუნების იმედს არ კარგავენ.

ამ ადამიანებისთვის ცხოვრების ურთულეს წლებში საქართველოში ჩამოსვლის, ქართული გვარის დაბრუნების იმედი დაკავშირებული იყო მაშინდანი მესხთა ორგანიზაცია „სხნასთან“. ორგანიზაციას ეცვლებოდა სახელი დროის შესაბამისად, ლიდერობდნენ სხვადასხვა ადამიანები. თითოეული ლიდერული შვილი იყო თავისი ხალხისა, ბევრმა სიცოცხლე შეწირა სამშობლოში დაბრუნებისთვის ბრძოლას. გასახლებას რამდენიმე დღე დასჭირდა, დაბრუნებას ათწლეულებიც არ ჰყოფნის. დღეს ამ პრობლემებზე მუშაობას აგრძელებს ორგანიზაცია სახელწოდებით „ხალხი გოზალიშვილის სახელობის მსოფლიო მესხთა საერთაშორისო კონგრესი“, რომელსაც ხელმძღვანელობს სანდრო ხოზარაძე. ვთავაზობთ მასთან ინტერვიუს:

- თქვენ დაიბადეთ და გაიზარდეთ აზერბაიჯანში. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში რამდენიმე ახალგაზრდასთან ერთად ჩამოხვედით საქართველოში და დაამთავრეთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. შეგვხვდით ბევრი სიხალღე, სიბრძნე, მაგრამ მაინც მიიღეთ მოქალაქეობა, დაიბრუნეთ გვარი. ხაზგასმით აღნიშნავთ, რომ თქვენთვის გვარის დაბრუნება პრინციპული იყო. საინტერესოა, როგორ იზრდებოდით, რა ცოდნა მიიღეთ უფროსი თაობისგან და რამ აქცია თქვენთვის ქართველობის დაბრუნება პრინციპად?

- დაიწყებ შორიდან 1957 წელს უზბეკეთიდან აზერბაიჯანში გადასახლდნენ მხოლოდ ის ოჯახები, რომელთაც საქართველოში დაბრუნება უნდოდათ. 30 ათასმა ადამიანმა (დაახლოებით 10 ათასმა ოჯახმა) აზერბაიჯანში დასახლება მხოლოდ იმიტომ გადაწყვიტა, რომ საქართველოში დაბრუნებულიყო. ფიქრობდნენ, რომ აზერბაიჯანიდან უფრო იოლად ნახავდნენ საქართველოს. მხოლოდ და მხოლოდ ეს იყო მეორედ გადასახლების მიზეზი. იმ დროს, 1957 წელს, საბჭოთა კავშირში გამოვიდა დადგენილება, რომელიც აზერბაიჯანელებს სამშობლოში დაბრუნების უფლებას აძლევდა. დეპორტირებულებმა, რადგან პასპორტებში აზერბაიჯანელი ეწერათ, გამოიყენეს ეს ვითარება და გადასახლდნენ აზერბაიჯანში. გასათვალისწინებელია ერთი ფაქტიც - პასპორტებში აზერბაიჯანელი ეწერათ მხოლოდ აჭარლებს. ბედის ირონია იყო, აზერბაიჯანელს თარაქამა ეწერა, აჭარლებს - აზერბაიჯანელი, თურქებს - თურქი, მესხებს - „ტიურკი“ (ამით განასხვავდნენ ქართველს). თუმცა, უპასპორტოდაც ვგებულობდით, ლაპარაკით ვირჩევოდი და ასეა დღემდე. საუბარს მოუსმენ და ყველაფერი ცხადი ხდება - ვინ არის ქართველი (აჭარელი და მესხი), ვინ თარაქამა, ვინ ხემშილი, ვინ იეზიდი. ასეა დღეს და ასე იყო მაშინაც. ქართველისთვის სპეციფიკურ ბგერებს მარტო ქართველები ამბობენ. მაგალითად, რაც ჩამოვთვალე: თურქი, თარაქამა, ქურთი, ხემშილი, მათგან „ჭ“-ს და „ყ“-ს ვერაფერი ამბობს. დაუბრუნდეთ საკითხს, რატომ ჩამოვიდეთ საქართველოში. მე კი არა, როგორც მოგახსენეთ, სამშობლოში დაბრუნების იმედით ვერ კიდევ მაშინ 30 ათასი კაცი ჩამოვიდა აზერბაიჯანში. დასახლდნენ ცარიელ, ტრიალ მინდვრებზე. არ იფიქროთ, რომ სახლები ჰქონდათ, ან რაიმე პირობები. პირდაპირ ვაკევე დაბინავდნენ, სადაც ბაყაყებისა და გველების გარდა

არაფერი ბინადრობდა. მოვიდნენ და კიდევ ერთხელ თოვლიდან დაინყეს (ცხოვრება, ააშენეს სახლები, პატარა პატარა სოფლები შექმნეს, 10-ოჯახიანი, 20-ოჯახიანი... ეს ოცდაათი ათასი ადამიანი ერთდროულად არ ჩამოსახლებულა. სამი წლის განმავლობაში მოდიოდნენ. მე ასე მგონია, რომ პირველ ნაკადში, 1958-59 წელს დაბრუნებულებში, იყვნენ მხოლოდ აჭარლები.

უზბეკეთში 1944 წლიდან 1956 წლამდე, საკომუნდანტო რეჟიმის დროს, მკაცრად იკრძალებოდა ქართულ ენაზე ლაპარაკი, კონტროლდებოდა ერთი სოფლიდან მეორე სოფელში ნათესავების სანახავად წასვლა. საჭირო იყო ყოველდღიური ხელმოწერა, რითაც ადასტურებდნენ, რომ არავინ არსად წასვლა, არავისთან კონტაქტი არ ჰქონია. ასეთმა სიმკაცრემ თავისი შედეგი გამოიღო. ხალხში დარჩა სერიოზული შიში, ქართულად ვერ ლაპარაკობდნენ, ვერ ნერდნენ. 1957 წელს, როგორც კი განკარგულბა იკრძა და ცოტა თავისუფლება იკრძა, შეთანხმდნენ, რადაც არ უნდა დაჯ-

შეიტან, შეიძლება ნახვა, მაგრამ, სამსუხაროდ, იქიდან მოდის უარყოფითი პასუხები. ყოველ თვეში, მინიმუმ, ხუთ განცხადებას ვწერ, ყველაზე უარი მომდის, უფრო სწორად, ბოდიში, რომ ვერ მესხმარებიან და მიხსნიან, - ამა და ამ არქივიდან გადაიტანეს სხვა არქივში და საბოლოოდ გამსახურდია დროს დაიწყო. თუ დამწვარია, რას ვნახავ. ისეთი პასუხები მოდის, ვერაფერს იზამ.

კარგი, ვთქვათ, ასეც მოხდა, მაგრამ მამის ბიუროში რაც ხდებოდა, ის ხომ არ დაინვა. იმაზეც უარი მოდის, რომ ვერ ნახულობენ. პაპაჩემი სულემიან (სულო) შაბანის ძე დაბადებულია ადიგენის რაიონის სოფელ კეხოვანში 1888 წელს, მაგრამ ვერსად ვნახე მისი დაბადების ჩანაწერი. არც მსს-ს არქივშიც გამოიხდა. გარდა ამისა, მივმართე სპეცგადასახლების უზბეკეთის მსს-ს არქივს, იქიდანაც უარყოფითი პასუხი მივიღე, რადგან იქაც საარქივო ბაზა 1956 წლის შემდეგ შეიქმნა და 1944 წლიდან 1956 წლამდე გარდაცვლილების პირადი საქმე

ნათ. მამაჩემზე გეტყვით, - მაშინ „სხნა-СПАСЕНИЕ-ს“ საწვერო იყო ორი მანეთი, ასევე „ვათანისაც“. მამაჩემთან რომ მოდიოდნენ, არ კითხულობდა, რამდენი სჭირდებოდათ, არც ის იცოდა, „სხნა“ ითხოვდა თუ „ვათანი“. მამაც და დანარჩენებიც ამბობდნენ: სამშობლოსთვის ფული არ უნდა დაინახო. იკითხავდა, რამდენი მამინე 10 მანეთს აძლევდა. ზოგჯერ თვე არ იყო გასული, რაღაც სხვა საქმისთვის დასჭირდებოდათ, სამშობლოსთვის გჭირდებათ და დამატებით დებდნენ ფულს - 100 მანეთს, 200 მანეთს. ეს საკმაოდ დიდი თანხა იყო (ერთი ტომარა შაქარი, წარმოიდგინეთ, 42 მანეთი ღირდა). ამ ფულს ყოველი ოჯახი დებდა.

მე 1974 წელს დავიბადე. როგორც მამა მეტყვოდა, ამ დროს ყველაზე ძლიერი „იერიში“ დაიწყო სამშობლოში დასაბრუნებლად. ლიდერებმა მოითხოვეს ფული და ჩვენმა მესხებმაც იმდენი დადეს, რამდენსაც ლიდერები ითხოვდნენ. მევე აზერბაიჯანის უშიშროების წარმომადგენლები, იქაური

მუშაობდნენ მათ გათურქებაზე. ინტენსიურად მუშაობენ იმაზე, რომ გათურქდნენ ბოლომდე. ამის ნათელი მაგალითები ხომ ვაქვს. ამას უშიშროება აღარ უნდა. ახლა ინტერნეტია და მთელი მასალები უკვე ზედაპირზე დევს. აღარაფერი იმალება. ყველაფერი გაიშალა საიდუმლო პროპაგანდის ფარგლებს. ადრე ჩვენ მივიღოთ აზერბაიჯანი, ვხარჯავდით თანხებს, ვილატებს ვხვდებოდით, ვილატებთან ვკამათობდით, რომ რამე გავგვეკეთებინა. ახლა აქ ნერ და იქ კითხულობენ. ამიტომ უფრო იოლად მუშაობენ თურქული ორიენტაცია. როცა თურქული ორიენტაცია ვამბობ, ეს ნიშნავს, რომ ჩართულია ადიგოლობრივი, იქაური ხელისუფლება და მე არ ვსაუბრობ მაგისტრატის შესახებ.

- ვინ იყვნენ ისინი, ვინც სათავეში ედგნენ მამინდელ „სხნას“ მოძიეთ, ვაგაგრძელოთ იქიდან, რომ 1974 წელს საქართველოში ჩამოსულმა დევეგაციამ, ნაცვლად ხალხისთვის მიცემული პირობისა, დააფიქსრა, რომ მოსახლეობას სამშობლოში დაბრუნება არ სურდა.

- დიახ, ეს იყო 1974 წელს. იმ ჯგუფში იყო 15-20 ადამიანი. ისინი წასულები იყვნენ „ვათანის“ სახელით, ხელისუფლების სახელით. ერთმა ადამიანმა, რომელიც დაბრუნდა, თქვა სიმართლე. „სხნას“ საიდუმლოდ მოუტანა ინფორმაცია და უთხრა, რომ თქვენ ფული სხვა რამისთვის შუავროდით, მაგრამ ამათ საქართველოში სხვა რამ თქვესო. იქიდან გავრცელდა ხმები.

- როგორ, გამოდის, „სხნა“ და „ვათანი“ იმდროიდანვე თანაარსებობდნენ და, გარკვეულწილად, თანამშრომლობდნენ კიდევ?

- გეტყვით უფრო ზუსტად. დიახ, ორივე არსებობდა, მაგრამ სულ კამათობდნენ და დაობდნენ. ერთი რამ იყო, საქართველოში რომ მოდიოდნენ, „ვათანი“ აქტიურობდა, უშიშროებიდან იმართებოდა და მას წინაშე უჭერდნენ. რა იყო მათი მთავარი მიზანი, იცით? - მესხეთიდან გადასახლებულები გათურქებულიყვნენ და ადიგოლებზე დარჩენილიყვნენ. ამ აზრზე იყო საქართველოს უშიშროებაც. მათ უპირველად ვაგებოდა წარმოდგენა ამ ხალხის გათურქება. მთელი სახელმწიფო მანქანა მუშაობდა ამაზე. ყველა, საქართველოშიც კი, „ვათანს“ კარგად ლეზულობდა, „სხნას“ პატივს არ სცემდნენ და ატყუებდნენ. დიახ, დიახ, - ეტყობოდა და სინამდვილეში პასუხი იყო - არა! „ვათანის“ ხალხი რომ შემოდოდა საქართველოში, სახელმწიფოს ხარჯზე საუკეთესო სასაქონლოებში ათავსებდნენ, „სხნის“ ხალხს კი, თვითონ, თავისი სახსრებით, ქალაქის განაპირას (გლდანსა და სხვა უბნებში) უნდა ემუშავა ლამის გასათავი. ხელს კი არ უწყობდნენ, ყველანაირად უშლიდნენ, რომ ადამიანები დაღლილიყვნენ და სამშობლოში დასაბრუნებლად ბრძოლისთვის თავი დაენებებინათ! ასე ვაგრძელებდი ბოლომდე. სასუხაროდ ის არის, რომ დღემდეც ასეა. - ზუსტად იგივე კეთდება. „ვათანის“ წარმომადგენლები რომ მოდიან, მათ კარგად ხვდებიან, თავად „ვათანის“ თავმჯდომარეს უშვალეს ხელისუფლებასთან უწყობენ შეხვედრებს, თან არაერთხელ. რამდენჯერმე ოფიციალურადაც მივხვდი. მესხებს ხელისუფლებასთან გვივინდა შეხვედრა მოქალაქეობის, გვარის დაბრუნების თაობაზე, თუმცა არანაირი რეაგირება მას არ მოჰყოლია.

- გავყვით მოვლენებს. თქვენ ბრძანით, რომ 1974 წელს სერიოზული და აქტიური მოძრაობა დაიწყო მესხებისა. რა მოვლენებმა და, კონკრეტულად, რა ფაქტორებმა შეუწყობა ამას ხელი და რა შედეგები მოჰყვა?

- 1974 წლიდან წრეები ფარულად აღარ მოქმედებდნენ. უკვე ლიად დაიწყო მათი მოქმედება. 1957 წლიდან, როგორც კი მესხები საკომუნდანტო კონტროლიდან გათავისუფლდნენ, მათი პირველი ლიდერი გახდა ზორეგანიძე - ენვერ ოღბაიშვილი-ხოზრევანიძე (ჯარში ოლიტენანტი იყო). ის იყო ლიდერი იქამდე, სანამ გადაიხრებოდა თურქული ორიენტაციისკენ, უფრო სწორად რომ ვთქვა, სანამ ხელისუფლებამ ბოლომდე არ დაიმორჩილდა. დაიმორჩილდა, თან, როგორ! წარმოდგინეთ, სამჯერ ციხეშიც ჩასვეს. ხალხი რამდენიმე დღის განმავლობაში იდგა რაიონების ადმინისტრაციული შენობების წინ და ხელმძღვანელობისგან ითხოვდა მის გამოსვლას, და-



დომოდით, კავკასიამდე ზღვის ფენით გადავალაც რომ დასჭირებოდათ, მოახლოებოდნენ საქართველოს. თანახმანი იყვნენ, აზერბაიჯანელად დანერვილიყვნენ (თუ უკვე არ ენერბო). 30 ათასიდან, როგორც გითხარით, 10 ათასს ეწერა „ტიურკი“, ე. ი. მესხი და, უცებ, ნამებში იქცნენ აზერბაიჯანელებად. მათ პასპორტში გაჩნდა ჩანაწერი „აზერბაიჯანელი“. ჩასახლების დღიდან მისცეს გადასახლებულის ცნობა, რუსულად „переселенческий билет“. დღესაც აქეთ მათ ეს ცნობები, სადაც პირდაპირ წერია: ეროვნებით აზერბაიჯანელი, ამა და ამ განკარგულებით ჩამოვიდეს აზერბაიჯანში. იმ ოჯახთა შორის ვიყავი მეც.

მე კი ვიცი, ვინ ვარ, მაგრამ, საერთო ჯამში, აზერბაიჯანი გვიცნობს ჩვენ, როგორც აზერბაიჯანელებს. საქმე-საქმეზე რომ მივდებ, იციან, რომ ასე არ არის. მე ბავშვობიდან (ვისაუბრებ ჩემს ბავშვობაზე და აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რაც გადაიტანა მამაჩემმა) მახსოვს, ყველა ქურას აზერბაიჯანში აქაური სოფლის სახელს ვეძახდით, მაგალითად, კეხოვანის ქურა, ზანავის ქურა, სვირის ქურა. ასე ეძახდა ყველა. ცოტა რომ წამოვიზარდე, მაშინ დამაინტერესა, რას ნიშნავდა ეს სახელი. საბჭოთა კავშირი იყო, მაგრამ ყოველდღიურად ჩუმ-ჩუმად რაღაც მაინც ტარდებოდა. შექმნილი იყო წრეები. ქართული ორიენტაციის ხალხი ფარულად იკრიბებოდა, თურქული ორიენტაციისა - ლიად. ადიგოლობრივი მთავრობა ყველანაირად ხელს უწყობდა მათ. ქართული ორიენტაცია იმალება, არადა, ასეთი მოსახლეობის 99 პროცენტში იყო. საქართველოს არქივებში ინახება იმდროინდელი 30 ათასი განცხადება შემდეგი შინაარსით: ჩვენ ვართ ქართველები, გასახლებული საქართველოდან, ამა და ამ გვარისა და გთხოვთ, დაგვაბრუნეთ საქართველოში. ამგვარი განცხადებებით მომართეს საქართველოს. თბილისში ჩამოვიდა ერთი მანქანა განცხადება (რამდენიც ჩაეტია მსუბუქი ავტომობილის საბარგულში). ასეთი განცხადებები 1967 წლიდან 1982-2008 წლებამდე პერიოდულად კიდევ მოდიოდა. მე ვიციოდა და დარწმუნებული ვიყავი, რომ ისინი ინახებოდა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ძველ შენობაში. შემდეგ გადაიტანეს უშიშროების არქივში. ახლა ამბობენ, რომ ზოგიერთი დაინვა.

- ძალიან სამსუხაროდ, თუ დაინვა. თქვენ არა ვაქეთ წვდომა იმ არქივებთან, არ შეგიძლიათ, თვითონ მოიძიოთ და დარწმუნდეთ?

- ისინი სხვადასხვა არქივებში იყო დაცული, მე არ მჯერა, რომ დაინვა. არქივი განცხადებას თუ

შეტანილი არ არის არქივის ბაზაში. პაპაჩემი კი გადასახლებიდან ერთი წელიწადში გარდაცვლილა ინფარქტით. იმ დოკუმენტაციით ჩვენ შეგვიძლია უკან დაბრუნდეთ და ჩვენს ქართულ ფესვებამდე მოვიდეთ. ასე წლის წინანდელ წყაროებში ქართული გვარები ჩანს. „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ იძებნება ჩვენი მონაცემები. აქედან რომ ვიცოდეთ, ჩვენი ბებია-პაპა ვინ არიან, „დავთარის“ ინფორმაციას დაუვკავშირებთ. ახლა ჩვენ ვიცით ორი-სამი თაობა ჩვენი წინაპრებისა. ათასიდან ერთმა შეიძლება იცოდეს კიდევ უფრო შორეული წინაპარი. ვიცით, რომ, მაგალითად, სოფელ კეხოვანში იყო ხუთი გვარი, მაგრამ ვინ ვისი ბებია-პაპა იყო, საქართველოში უნდა გავაკვიროთ. მოდით, დაუბრუნდეთ იმას, რომ აზერბაიჯანში ჩამოსვლისთანავე, ამ ხალხმა განცხადებებით მომართა საქართველოს, მევე ჩუმად ატარებდნენ შეხვედრებს. თურქული ორიენტაციის ხალხს ეხმარებოდა ადიგოლობრივი ხელისუფლება, ისინი დღისით თავისუფლად იკრიბებოდნენ, ქართული ორიენტაციის კრებები ლამით იმართებოდა, დიდი შიშის ქვეშ. მაშინ ამას „სხნა“ ედგა სათავეში.

- საინტერესოა, რადგან თუ ოფიციალურ მონაცემებს ჩავეყვებით, ორგანიზაცია „სხნა“ რეგისტრირებულია 90-იან წლებში. თქვენ კი საუბრობთ 60-იან წლებზე და „სხნის“ მიერ ორგანიზებულ ფარულ შეხვედრებზე. ვთხოვთ, განვვიმარტოთ, რა ხდება?

- „სხნა“ არსებობდა იმ წლებში, როგორც გითხარით, წრის (кружок) სახით. სხვადასხვა ქვეყანაში. მოდი, დავაკონკრეტოთ, მაშინ რეპატრიანტები სამ ქვეყანაში ცხოვრობდნენ: ყაზახეთში, ყირგიზეთში, უზბეკეთში, მევე გადასახლდნენ აზერბაიჯანში. რუსეთში ჩასახლდნენ მოგვიანებით. ცოტა რომ გათავისუფლდნენ ზენოლისაგან და საქართველოში ჩამოვიდნენ, აქ რომ არ მიიღეს, მაშინ გადასახლდნენ რუსეთში. ასე რომ, სამი ქვეყანა გახდა ხუთი. „სხნა“ არსებობდა წრის სახით მხოლოდ იმიტომ, რომ ორგანიზაციად ჩამოყალიბების უფლება მაშინ არ ჰქონდათ. მაშინდელი „სხნა“ დღევანდელზე ათასჯერ დიდი იყო, თუმცა, მაინც, წრე ერქვა. იმ წელს 100 ათასი წევრი ჰყავდა. თან ნამდვილი წევრი იყო ის ასიათასივე და საოცარი ერთგულებით გამოირჩეოდნენ. გადასახლდით თუ იყო, საწვერო, ვთქვათ, ხუთი მანეთი, ისინი ორჯერ და უფრო მეტჯერაც, მეტს იხდინდნენ, ოღონდ, მიზნისთვის მიეღწიათ, ოღონდ, გვარი და სამშობლო დაებრუნებო-

დებუტატები, სოფლების თავმჯდომარეები, მესხები შეიკრიბნენ, იმ დროს ჩამოვიდნენ საქართველოში, თბილისში, ახალციხეში და გამართეს შეხვედრები. აზერბაიჯანში ხალხს უთხრეს, რომ მივედივართ სამშობლოსთვის, იქნებ რაღაც საშუალებები გამოვნახოთ, რომ თქვენ დაგაბრუნოთ. ხალხმა იმდით გამოუშვა ისინი. აქ ჩამოვიდნენ და, პირაქით თქვეს, რომ, თითქოს ჩვენ, მესხებს, არ გვიანდა არაფერი საქართველოსგან, ჩვენ იქაც კარგად ვართ და არასოდეს დაბრუნდებით სამშობლოში შეადგინეს ხელშეკრულება, თუ რაღაც ამ ტიპის საბუთი, სადაც უარს ამბობენ სამშობლოში დაბრუნებაზე. ეს დოკუმენტი ერთ-ერთ არქივში დღესაც არსებობს. ეს საბუთი არ დაინვა, დღესაც კარგად ინახება. დანარჩენი დაინვა. უცნაური არ არის?! სადაც მესხები ამბობენ, რომ ჩვენ ქართველები ვართ, ვიყავით ქრისტიანები, დავიბრუნეთ ქრისტიანობას და საქართველო ჩვენი სამშობლოა, ის დოკუმენტები განადგურდა, ხოლო ცუდი ინფორმაციები (სულ ორი-სამი შემთხვევა იყო, როდესაც პატარა პატარა ჯგუფებს საქართველოში რაღაცის გაკეთება უნდოდათ, არ გამოუვიდათ, საუკუნეების წინანდელი) ინახება, არ დაინვა. ახალი რაც კარგი იყო, დაინვა. ეს ყველაფერი კეთდება დაუფიქრებლობის გამო. არავინ ფიქრობს მომავალზე. მხოლოდ დღევანდელ დღეზე ფიქრობენ, როგორ იცხოვრონ. საკუთარი თავი ადარდებთ. ხვალ ვინ იქნება პასუხისმგებელი იმაზე, რა მოხდება შემდგომ, მომავალში?! კარგად მინდა გამოვიტო, რაც მოხდა იმაზე კი არა, მომავალზე ვინ აგებს პასუხს? აი, რას ვგულისხმობ - მესხები ნელ-ნელა ეკონომიკურად ნელმი იმართებოდა, მიდრეკილიან და პასუხს მოითხოვენ. განა აქამდე არ უნდოდათ? უბრალოდ, აქამდე თანხები არ ჰქონდათ, რომ ვეროპის და საერთაშორისო ორგანიზაციების დონეზე გასულიყვნენ. ახლა ყველა თუ არა, 10 კაციც რომ შეიკრიბოს, საკმარისი იქნება ევროსასამართლომდე მისასვლელად - ეს ერთი. მეორე - თანდათან ჩვენ შევდივართ ევროპაში. მესხებიც მოიპოვებენ უფლებას, რომ, როგორც ნებისმიერმა ადამიანმა, იმათაც იცხოვრონ თავიანთ სამშობლოში. საბოლოოდ ხომ დაბრუნდებიან და საქართველოს ხომ პრობლემა შეექმნება?! იცით, რატომ ვამბობ სამომავლო პრობლემაზე? 72 წელი გავიდა უკვე. ეს ცოტა დრო არ არის. ჩვენ (საქართველო) დეპორტირებულთა ქართველობის განმტკიცებაზე არასოდეს გვიმუშავია. დანარჩენი მსოფლიო კი





მეგობრებო, თქვენთვის გასული წლის მოთხოვნით, ერთხელ გაათავისუფლეთ, ორჯერ, მესამეჯერ მოუგონეს მიზეზი რომ, ვითომ, მინა დაშვებულ ნორმაზე მეტი ჰქონდა და მიუსაჯეს რვა წელი. რვა წელი მისცეს, რომ საქმე მიყურებულყო და ქართული ორიენტაცია დადუმებულიყო. ცხებში რა დაბართეს, რას დაპირდნენ, არავინ იცის, რვა წლის ნაცვლად სამ წელი გამოუმეგეს. იქიდან გამოვიდა უკვე ძლიერი თურქული ორიენტაცია. მან ყველაფერი გააკეთა, რომ „ვათანი“ გაძლიერებულიყო, ხალხი „ვათანისკენ“ შებრუნებულიყო. ხალხს მისი სჯეროდა, თან როგორ სჯეროდათ, იცით? ისეთი რწმენა ჰქონდათ, რომ ეთქვა, დაიხოცეთო, დაიხოცებოდნენ! ენვერ ხოზრევანიძის ციხიდან გამოსვლის შემდეგ ხსნის ლიდერებმა, უფრო სწორად, აქტივისტებმა, მაგალითად, ხალხი უმაროვმა (გოზალიშვილი), სარგო საფაროვმა (ლაზიშვილი - დევიძე), რამად მავლუდოვმა (ნითუნაშვილი), თახსირ მამედოვმა (ჩხეიძე), ისმინან ხოზრევანიძემ, ზეინაბ საფაროვმა (ლაზიშვილი), ალიმ ილიასოვმა (ნადირაძე) და სხვებმა, სულ 11 კაცი იყო, დაინახეს, რომ მას ორიენტაცია კარდინალურად შეცვლილი ჰქონდა და არა თუ ლიდერი, არამედ თავიანთ ვინრო წრეში ახალი ლიდერი აირჩიეს. ეს იყო ხალხი გოზალიშვილი-უმაროვი. როგორც ვითხარით, ხოზრევანიძე 1968 წლიდან ციხეში მოხვდა და ორგანიზაციამაც ყველაწლიური აქტიურობა შეწყდა, 1973 წელს თურქული ორიენტაციით გამოვიდა და, უკვე, 1974 წლიდან, აშკარა დაპირისპირება, პოლიტიკური ომი დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსთან ურთიერთობაში ხოზრევანიძე წერდა, თითქოს ქართული ორიენტაციისა იყო, ფაქტობრივად თურქული ორიენტაციაზე იდგა. ხალხი გოზალიშვილი ცალკე აქტიურობდა, ის - ცალკე. 1974 წლიდან საბოლოოდ გამოიკვეთა ორი განსხვავებული პოზიცია: თურქული და ქართული. როგორც ვითხარით, იქამდე თურქული ორიენტაციის იყო მხოლოდ ერთი პროცენტები. ისინიც გაჩუმდნენ, არაფერს ამბობდნენ. რაც იქნება იქნება, სხვები თუ საქართველოში დაბრუნდებიან, ჩვენი წავალთო, ფიქრობდნენ. ყველაფერი მაშინ შეიცვალა, როცა ხელისუფლებამ მათ დაუჭირა მხარი. რამი გამოიხატებოდა მხარდაჭერა? თურქული ორიენტაციის გამაძლიერებელმა იმ ერთი თანამდებობები დაიკავეს, მაშინ ორიენტაციიდან უმარავლესობა დაანინაურეს. ხალხმა დაინახა, რომ ისინი წინ მოდიან, ჩვენ უკან ვრჩებით. ამ 72 წლის განმავლობაში ქართული ორიენტაციის მომხრე ადამიანები დუმდნენ ამაყობდნენ. ესე გამოწვეული იყო საქართველოს ხელისუფლების უმოქმედობა.

- საქართველოს რა მოგახსენოთ, ჩვენი ქვეყანა მაშინ ერთიანი საქათა სახელმწიფოს ნაწილი იყო, მოვლენებიც ცენტრალიზებულად იმართებოდა. მიუხედავად ამისა, მაშინ დაიწყო მესხების საკითხი ძალიან აქტიური გახდა ეროვნული მოძრაობის დროს. არ შეიძლება, არ აღინიშნოს ეროვნული მოძრაობის ლიდერების არაერთხელ ცხადად დაფორმებული პოზიცია, მათი აქტიურობა, მათი კონტაქტები დემოკრატიულ მოსახლეობასთან. რამდენად ვიცით, პირადად ხედვებდნენ მათ.

- დიას, ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც საქართველოდან ჩამოვიდნენ. ზვიად გამსახურდიამ გამოგზავნა მერაბ კოსტავა და თამარ ჩხეიძე. ისინი მივიდნენ ხალილი გოზალიშვილთან (ხალილი მაშინ აზერბაიჯანში ცხოვრობდა). იქ გადანიშნულს, რომ წრე ექციათ ორგანიზაციად. წლის რუსული სახელი „СПАСЕНИЕ“ 1995 წელს ქართულად გადმოითარგმა „ხსნა“. ეროვნული მოძრაობის ლიდერები მაშინ ოპოზიციაში იყვნენ და, სამწუხაროდ, საქართველოში მისი დარეგისტრირება ვერ მოხერხდა. ამიტომაცა იგი იმდროინდელი დარეგისტრირებული და ოფისიც იქვე იყო, ახლა იქ არაფერი აღარ არის. იქვე იყო ხალილი გოზალიშვილის სახლიც. როგორც ვითხარით, 1991 წელს „ხსნა“ დარეგისტრირდა რუსეთში და მერე უკვე ადგილი აიკა საქართველოში მისი გადმოტანა. ისეც მოხდა, ჯაბა იოსელიანის დახმარებით გადმოვიტანეთ ოფისი საქართველოში. ამ დროიდან გაეხდნენ აქტივისტები.

- თქვენი აზრით, რატომ შეიცვალა პოზიცია საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა?

- სამწუხაროდ, ძალიან არასასიამოვნო პროცესებს ჰქონდა ადგილი КГБ-დან, რამაც გადაწყვეტი მიიღო ნელობა იქონია მოვლენების შემდგომ განვითარებაზე. ვიცით, რა უნდოდა ზვიად გამსახურდიას, მაგრამ სულ სხვა რამ სურდა КГБ-ს. მას უნდოდა, რომ არ ჩამოვსულიყავით და, ამიტომ გამსახურდიას სურვილებს ეწინააღმდეგებოდნენ. ვიდრე ზვიად გამსახურდია გახდებოდა პრეზიდენტი, ამბობდა, თუ პრეზიდენტი გახვდები, აუცილებლად დაგაბრუნებ ამ ხალხს და ამისთვის სულ ერთი წელი დამჭირდებაო. აქტიურობდა მერაბ კოსტავაც. მეც სწორედ ამ დროს ჩავერთე პროცესებში, როდესაც ყველაფერი კარგად აწყობო. თუმცა ვითარება მალევე შეიცვალა. რადგან КГБ-მ იმ ერთი პროცენტებიდან, რომელზეც გესაუბრეთ, მოამზადა სხვა ლიდერები და მოსკოვში



დაარეგისტრირა ორგანიზაცია „ვათანი“ იუსუფ სარგაროვის (დიდებულიძე) ხელმძღვანელობით. რომ იცოდეთ, „ვათანი“ „ხსნის“ შემდეგ შეიქმნა. „ხსნა“ რომ დარეგისტრირდა, ხუთი-ექვსი თვის შემდეგ დაარეგისტრირეს „ვათანი“, რათა მას „ხსნისთვის“ შეეშალა ხელი და შეუშალა კიდევ. მათი ჯგუფი, უშიშროების შეკვეთით, ჩამოვიდა საქართველოში - თბილისში, ბორჯომში, ახალციხესა და ადიგენში, სადაც ჩაატარეს მიტინგები. ბევრი არ ყოფილა, სულ რაღაც 100-მდე კაცი. მკვეთრი თურქული ორიენტაციის. მათ ისე გააკეთეს, რომ აქაურ მოსახლეობაში გამოიწვიეს ზიზნა. ამის შემდეგ გამსახურდიამ დაინახა, რომ მათი კონტროლი არ შეეძლო და ამ დროიდან ბევრი კითხვის ნიშანიც გაუჩნდა. გამსახურდიას გვერდით იყვნენ ინტელიგენციის სხვა ნარმოადგენლებიც, რომელთაც ასევე ქართული საქმის გაკეთება უნდოდათ. ისინიც ფიქრობდნენ, რომ მესხები უნდა დაბრუნებულიყვნენ, მათ გარეშე საქართველოს მომავალს არ მოიაზრებდნენ. ყველა იცოდა, რომ საქართველოს წინსვლასა და განვითარებაში მესხებსაც უნდა მიეღოთ მონაწილეობა. ახლაც იციან, მაგრამ ვერაფერს აკეთებენ. როგორც ვითხარით, მოახყვეს პროოკაცია, თანაც არაერთი. იმ მიტინგებში КГБ-მ გამსახურდიას გულს მათი სახე აჩვენა და ამით დაარწმუნა: შენ ერთს ამბობ, მაგრამ, აი, ნახე, სინამდვილეში ისინი ვინ არიან, ხალხი მათ წინააღმდეგ გამოიღოს. მესხებზე კი გაავრცელეს აზრი, - თავს თურქებად თვლიანო. ცუდი რომ გააკეთებ, მერე ის დიდხანს შეიძლება ვერ გამოასწორო! კარგის გაკეთებას მრავალი წელი უნდა, ცუდისას - ერთი მცდარი ნაბიჯიც ჰყოფინს.

ერთ საინტერესო ამბავსაც გეტყვით: პრეზიდენტობამდე გამსახურდია 44 წელი ხალილი გოზალიშვილის სახლში იმალეობდა, რომელსაც რუსეთის უშიშროება ეძებდა. უბრალოდ, სახლიდან ვერ გამოდიოდა. წარმოიდგინეთ, რამდენს საუბრობდნენ ისინი, გეგმებს აწყობდნენ. ერთადერთი სათუთო კის იყო, გახდებოდა თუ არა ზვიად გამსახურდია პრეზიდენტი, თორემ მესხების დაბრუნების საკითხი მათთვის გადწყვეტილი იყო. როგორც ვითხარით, გამსახურდია დაპირდა ხალილი გოზალიშვილს, რომ ყველაფერი კარგად იქნებოდა. რაც გასათვალისწინებელი იყო, იმ დღეებში განიხილეს, დააწყვეს გეგმები (ამისთვის საკმარისზე მეტი დრო ჰქონდათ). მაშინ ხალილი გოზალიშვილი იმ ადამიანების სიებსაც ადგენდა, რომელთაც ქართველებად უნდოდათ საქართველოში დაბრუნება. სამინისტროში იხატებოდა ეს სიები,

ჩემი თვლით ვნახე, ვისაც უნდოდა დაბრუნება, ვინ რა გვარის იყო. სიებს ახლდა განცხადებები. პირველი ეტაპისთვის დაწერილი იყო ექვსი ათასი განცხადება. მზად იყო დადგენილების პროექტი, პროგრამა, ფინანსებიც. ერთადერთი რამ აკლდა - პრეზიდენტი უნდა გამხდარიყო გამსახურდია და გადაწყვიტებოდა ეს პრობლემა. გახდა თუ არა ზვიად გამსახურდია საქართველოს პრეზიდენტი, ხუთი-ექვსი თვის შემდეგ მას შეხვდა ხალილი გოზალიშვილი. ეს იყო, როგორც პრეზიდენტთან, პირველი შეხვედრა - კარგად მიიღო, ისევე შეპირდა და დაედასტურა, - როგორც შევთანხმდით, ისე იქნება! სუკვე, მეორე შეხვედრისას, ეს იყო იმ პროოკაციების შემდეგ, რომელზეც მოგახსენეთ, ასეთი რამ უთხრა გამსახურდიამ გოზალიშვილს: შენ და იმ თურქებმა კაცმა, ვინც ხართ ლიდერები, ცოლებთან ერთად ქრისტიანობა მიიღეთ, ჩამოღოთ თბილისში და იცხოვრეთ

ბედნიერად. ამით დაგამთავროთ ეს საქმე, დანარჩენებზე ლაპარაკი აღარ იქნებაო. წარმოიდგინეთ, როგორ იქნებოდა გოზალიშვილის რეაქცია! - ბავშვებიც ნაწილებდნენ ერთმანეთს. აღელვებულმა ხალილიმ დატოვა პრეზიდენტის რეზიდენცია. ვიდრე არღვევდნენ დერეფანს გაივიდა, ზვიად გამსახურდიამ რამდენჯერმე დაუძახა: ხალილი, დაბრუნდიო, მაგრამ გოზალიშვილი არ დაბრუნებულა! ამის შემდეგ „ხსნა“ თუმცა ისე არსებობდა, მაგრამ დასუსტდა, დაკარგა ხალხის ნდობა. ძნელი იყო გამსახურდიას შემოთავაზების მიღება. ხალილი ხშირად ამბობდა, - სარწმუნოება ასე იოლი შესაცვლელი არ არისო. თანაც, ოჯახის ვარეშე ვინ დაბრუნდებოდა საქართველოში. მარტო ხალილს ხუთი შვილი ჰყავდა, დანარჩენებსაც, თითოეულიც ამდენივე. მე ახლა ვუშვებ ასიდან ერთ პროცენტს, რომ გამსახურდიამ ისე, როგორც მეგობარმა მეგობარს, ისე უთხრა. ჩემთვისაც უთქვამთ მეგობრებს, გაქრისტიანიდიო. ზვიად გამსახურდიამ კარგად იცოდა, რომ, თუ სარწმუნოებას შეეხებოდა, ხალილი წავიდოდა. მან ისიც იცოდა, რომ ხალილის შვილიშვილი საქართველოში თუ დაბრუნდებოდა, მას შეიძლებოდა მიეღო ქრისტიანობა. ჩემი შვილი დაბრუნებულია საქართველოში. რთული მდგომარეობა შემექმნა, აქ ვერ ვაცხოვრე, წავიყვანე აზერბაიჯანში და სამ წლამდე იქ იზრდებოდა. იქიდან რომ ჩამოვბრუნდებოდი, აზერბაიჯანულ ენაზე ლაპარაკობდა. მისთვის ქართულის სასწავლებლად ბევრი რამ დამჭირდა. დამყავდა მასწავლებელთა, ლოგოპედთა, რომელთაც ვეუბნებოდი, რამე ხომ არ უჭირდა, ბავშვებს კარგად გამოთქვამდა თუ არა. მე მაშინ პირობები არ მქონდა, თორემ, კარგად ვიცო, ქართველი ბავშვი უნდა გაიზარდა საქართველოში. ეს არის სწორი და ნორმალური. სკოლაში ისწავლის, თვითონვე გაურკვევე ყველაფერში და მერე, თუ მოუნდება, ადგილი სარწმუნოების შეცვლა. მანამდე, თუ ვინმემ ქრისტიანობა მიიღო, ეს ტყუილია. ვილაყის მოსაჩვენებლად აკეთებს ამას. მოსაჩვენებლად მისი მიღება და სარწმუნოებით თამაში არ შეიძლება! მე ვეუბნა, რომ სარწმუნოება მიიღება 30-40 წლის განმავლობაში და არა ერთ წელში.

ხალილი გოზალიშვილი წავიდა, მაგრამ, გარკვეული დროის შემდეგ, ისევ დაბრუნდა იმ იმედით რომ, ყველა საპრობლემო საკითხი დადებითად გადაწყვეტიტა, ამისათვის ცალკე კადრები ხვდებოდა დაუბრუნებელი, ასევე „ხსნის“ ლიდერებიც ჯგუფურად ხვდებოდნენ მათ. „ხსნის“ არქივში დაცულია დოკუმენტაცია,

როდის და ვის ხვდებოდნენ ისინი. გამსახურდიას დროს, ერთ-ერთ პასუხსავე თანამდებობაზე დანიშნეს გურამ მამულია. „ხსნაში“ ასეთ პოლიტიკას დაადგინენ: „დაყავი და იბაძონე!“ მე არ ვსაუბრობ „ვათანზე“, ლაპარაკია „ხსნის“ გაყოფაზე. უშიშროებამ თბილისში დაიწყო „ხსნის“ დანაწევრება და გაყო კიდევ. ხალილი გოზალიშვილის ჯგუფი ცალკე აღმოჩნდა, ისა აშრაფოვისა (სხვათა შორის, ცუდი კაცი სულაც არ იყო) - ცალკე „ხსნა“, არაოფიციალურად, ორად გაიყო, რის გამოც იგი დასუსტდა და დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ეს დაპირისპირება უფრო და უფრო ღრმავდებოდა და ამას შეგნებულად უწყობდნენ ხელს. კერძოდ: იცოდნენ, რომ „ხსნაში“ ოფიციალური პირები იყვნენ ხალილი გოზალიშვილი და სხვა ლიდერები. მესხების წარმომადგენლების სახელით ოფიციალურ შეხვედრებზე ისეთ ხალხს იღებდნენ, რომლებიც იმ აქტივისტებში საერთოდ არ იყ-

ნენ. ეს კარგად იცოდნენ და შეგნებულად აკეთებდნენ. „ხსნა“ რომ დასუსტდეს, პროცესი ზუსტად ისე წარიმართა, როგორც, თავის დროზე, სსრკ-ს უშიშროებამ უნდოდა - ნელა, ძალიან ნელა. თუ ვერ მოეწონებოდა ზოგიერთ ოჯახს და დაბრუნება დაჟინებით მოითხოვდნენ და იბრძოლეს, გავუშვით ორი-სამი კაცი, - ასეთი იყო მათი პოლიტიკა.

- მინდა საქართველოს პირველი პრეზიდენტის ერთ-ერთი წერილის პატარა ნაწყვეტი ვაგაცნოთ. გამსახურდია წერს: „ამას წინათ მსოკოვში გაიმართა ე.წ. თურქი მესხებისა და „პაპიატის“ გაერთიანებული დემონსტრაცია, სადაც გამოიხატეს ლოზუნგი: ძირს დიქტატორი გამსახურდია. დიქტატორი კი, თურმე, იმის გამო ვარ, რომ წინააღმდეგობას ვუწევ ნახევარი მილიონი თურქის ჩამოსახლებას საქართველოში, რასაც მოითხოვს კრემლი“. ზვიად გამსახურდია აცხადებდა, რომ კრემლს შედგენილი ჰქონდა სია და დაჟინებით ითხოვდა დემოკრატიულად ჩამოსახლებას სწორედ ამ სიის მიხედვით.

- აბსოლუტური სიმართლეა! კრემლს მართლა ჰქონდა მომზადებული ოჯახები, რომელთაც რეალურად სულაც არ უნდოდათ საქართველოში ცხოვრება, მაგრამ რუსეთს უნდოდა მათი ჩამოსახლება და ასეც მოხდა. ისინი ჯერ კიდევ გამსახურდიას გაბრუნდებამდე ჩაასახლეს სამეგრელოს ხუთ რაიონში. ისე მოხდა, რომ ერთ სოფელში - ხუთი ათასი კაცი. მაღალი ტემპით მიდიოდა მათი ჩასახლება პროცესი, მაგრამ რისთვისაც, იცით? ჩაის პლანტაციებზე მუშაობის პროგრამა იყო. ჰქონდათ დეკამპერი, ხუთი წლის შემდეგ აქ რომ გადათავსდნენ სამუშაოს, ჯგუფურად წაიყვანდნენ ბაშის პლანტაციებში სხვა ქვეყანაში. საინტერესოა არის, კიდევ, იცით? მიუხედავად იმისა, რომ თურქული ორიენტაციის ხალხი შეარჩიეს, აქ ჩამოსვლის შემდეგ მათ ჩააბარეს პასპორტები და მისთხოვეს გვარის დაბრუნება. მე ვესაუბრე მათ ზოგიერთ წარმომადგენელს და მიხარის, - არა თუ გვარი, ხუთი წლის შემდეგ პასპორტები რომ დაგვიბრუნეს, ბეჭედიც კი არ იყო ჩარტყმული. მოკლედ, იმ სოფლებიდან ხუთი ათასი ადამიანი ხელახლა გადასახლეს აზერბაიჯანში, ერთბაშად. როდესაც მესხებთან მივიდნენ, იცით, როგორ უსვამდნენ კითხვას? - ვინ ხართ, თურქები თუ ქართველები? სხვა ვარიანტს არ უშვებდნენ. პასპორტებში მათ ეწერათ აზერბაიჯანელი, მაგრამ ზოგიერთს - ქართველი, ვთქვით, ისა აშრაფოვის. გასაგებია, სახელი, გვარი შეცვლილი ჰქონდა, დამახინჯებული, კითხვაც ხომ შეგნებულად

ისე იყო დასმული: ქურთები ხართ თუ თურქები, რომ ქართველებია გომორციხებულიყო. მე ვკითხვ, თქვენ რას უპასუხებდით-მეთქი. ჩვენ არ ვიცოდით, რა გვეთქვა, რა გვეპასუხა და გრწმუნდებოდითო. დღემდეც ასე არიან, არ იციან, რა უპასუხონ. 80 პროცენტს ასეა, როცა ეკითხებიან ეროვნებას, ყრიდებენ, არ იციან, რა თქვან. მერე, სადაც ცხოვრობენ, ითვალისწინებენ იქაურ ინტერესს და, იმათთვის მისაღები რაც არის, პასუხად იმას ამბობენ. შეიძლება თქვან, თურქი ვარო, აზერბაიჯანელი ვარო! ამას არა გაუაზრებლად, სწორედაც რომ გააზრებულად აკეთებენ. ცოტა ხანი ფიქრობს, არ უპასუხონ 10 წამი, შეიძლება ერთი წუთიც. მაგალითად, ბიძაჩემისთვის ხუთჯერ რომ გვეკითხებოდა, არ გიპასუხებდით, ვითომ ვერ გაიგო. მერე, დაჟინებით რომ შეეკითხებოდი, მაგიაზე ხელს დაარტყამდა და იტყოდა ასე: გადაბრუნებულები ვართო (გადაბრუნებული ნიშნავს სარწმუნოებას ცვლილი ქართველს). ეროვნებას არ ამბობდა. ჩემი ძმა მოსკოვში ცხოვრობს. სახლში რომ ჩამოდიოდა, აზერბაიჯანში რომ ხვდებოდით, სულ მუხებებოდა, რად გინდა ეს საქმეები, მიატოვე, წამოდი მოსკოვშიო. ერთხელ ვუთხარო: ბიძაჩემი ასაკიანია, მაგრამ ჯერ ცოცხალია. მდი და შეეკითხე, თუ ის გვეტყვის, რომ ქართველები არა ვართ და სხვა ეროვნებისანი ვართ, აქედან საქართველოში აღარ დაგვრუნდები და მეც მოსკოვში წამოვალ-მეთქი. წავიდა, ხუთი-ექვსი ბავშვი ინტერესით გაეკიდა, ვნახოთ, რას უპასუხებსო, აინტერესებდათ ჩემს ბიძაშვილებსაც. ჩემი ძმა ერთხელ შეეკითხა, ბიძაჩემმა არ უპასუხა, ვითომ ვერ გაიგო, 5-10 წუთის შემდეგ მეორედ შეეკითხა, არ უპასუხა, მესამედ რომ შეეკითხა, თან დააყოლა: ბოლოს და ბოლოს, გვიპასუხებთ თუ არა, ძალიან ვაინტერესდები. ბიძაჩემმა უთხრა: შვილო, ჩვენ ქართველისგან გადაბრუნებული მუსულმანები ვართ, ანუ მაშინდანი ქართველები. ბავშვები უსმენდნენ, ძალიან აინტერესებდათ, მაშინვე ჩემთან გამოიქცნენ, შენ მართალი ხარ, მართალი ყოფილხარო. ამით იმის თქმა მინდა, რომ ადრე ერთი კაცი არ იყო, რომ დაეჟინა, თურქი ვარო, ან ძალიან ცოტა იყვნენ, მერე, როცა ენვერ ხოზრევანიძე დაიჭირეს და გამოვიდა, ძალიან გაყო. სამი წლის შემდეგ 50-50-ზე გახდა. მაინც ძალიან დიდი მოძრაობები იყო აზერბაიჯანში. ყოველდღიური ჩვეულებური ცხოვრება შეუღლებული შექმნა. იცით, რას გვეულისხმობ? საქმეს, საყოფაცხოვრებო იყო თუ საოჯახო, პლანტაციებს აღარავინ აქცევდა ყურადღებას, სულ აქტიურობდნენ ყოველდღიურად იმისათვის, რომ სამშობლოში დაბრუნებულიყვნენ. ამიტომ უშიშროებამ დაიწყო უფრო მეტი ზეწოლა წამოვიდა. ბოლოს ხოზრევანიძეს მაინც უთხრეს: ან გაჩუმდი, ან ოჯახი წაიყვანე და წაიყვანე. მან წაიყვანა თავისი ოჯახი და წავიდა ხალილი გოზალიშვილთან. მანამდე ზუსტად ასე იყო ხალილი გოზალიშვილის შემთხვევამაც. გააფრთხილეს, თუ გინდა ამ თემზე ილაპარაკო, ციხეში მოხვდები, თუ ციხე არ გინდა, წადი აქედანო. მანაც მოჰკიდა ოჯახს ხელი და წავიდა ნაღიკში. მოკლედ, ყველა აძილეს, ნასულიყვნენ. ორგანიზაცია, ფაქტობრივად, დარჩა ლიდერების გარეშე. ლიდერები დანიშნულები იყვნენ უკვე ადგილობრივი მთავრობის მიერ, მაგალითად, მაკლუდ ბაირაგდაროვი. მანაც რაც შეეძლო გააკეთა, მერე ისიც გააჩერდა და სხვადასა დასახლდა, - არ შეასრულა დავალები და წავიდა. დარჩა პატარა დაჯგუფებები, ისინი უკვე იოლად კონტროლირებული იყვნენ, შექმნეს ყველაწლიური სიტყვაცია, რომ „ვათანი“ ემოქმედა და „ხსნა“ დასუსტებულიყო. არაა, „ხსნა“ აზერბაიჯანში ძალიან ძლიერი იყო. ქართველი რომ ჩამოვიდოდა ჩვენთან, ეს იყო დიდი დღესასწაული. მე, სამწუხაროდ, ხშირად მივიქრია, ნეტავ, საქართველოში არ ჩამოვსულიყავი. მე იქ უფრო ძლიერად მიყვარდა ქართველები. აქ რომ მივედი, ყველაწლიურად ადამიანი ვნახე, ისეთიც, რომელთაც ცხოვრება ძალიან ძნელია.

(იხევეთა შემოკლებით) ინტერვიუერი

მამა
პატარაწილი-პირი
სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო
უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი,
რექტორის მოადგილე


ჯაბა საყუპია

ქართლ-კახეთის წინააღმდეგ შაჰ-აბას I-ის ბრძოლა ერთ-ერთი ყველაზე სისხლისმღვრელი ეპოპეა საქართველოს ისტორიაში. ქართველი კაცის მესხიერებაში XVII საუკუნის დასაწყისში, ქართლსა და კახეთში, ირანელთა მრავალჯერად შემოსევა, ყოველთვის მწარე მოგონებად რჩება. საქართველოში აბას I-ის ლაშქრობებმა უდიდესი ზარალი მიაცენა ქვეყნის პოლიტიკურ და ეკო-

ნომიკურ მდგომარეობას, მაგრამ ყველაზე დიდ კატასტროფად მაინც დემოგრაფიული სიტუაციის მკვეთრი დაცემა უნდა მივიჩნიოთ. შაჰმა კახეთიდან ირანში 200 000 ქართველი გადაასახლა. მოსახლეობის დიდი ნაწილი დამპყრობელთა წინააღმდეგ ბრძოლას შეეწირა. «კახეთის ამოვადების» საქმე თითქმის ბოლომდე უნდა მიეყვანა ირანის შაჰს. ადგილობრივი ხელისუფლება უკვე დიდი ხნის გაუქმებული იყო. თეიმურაზ კახთა მეფე თურქეთში იმყოფებოდა. XVII საუკუნის 20-იანი წლებიდან ირანის შაჰის კარზე ქართლის სამეფოს განადგურების გეგმა შემუშავდა. ქართლებს კახელების ხვედრი უნდა გაეზიარებინათ.

1625 წლის დასაწყისში ირანში დიდი არმია შეიკრიბა, რომელსაც მთავარსარდლად შაჰმა ყარჩხა-ხანი დაუნიშნა. ოფიციალური გეგმით, ყარჩხა-ხანს კახელების საბოლოო გახყვევება უკონდა დაავალებული, ხოლო ფარული გეგმით, მათ ქართლის სამეფოც უნდა მოერბათ. ყარჩხა-ხანი წარმოშობით სომეხი იყო და შაჰ-აბასთან მეტად დაახლოვებულ პირს წარმოადგენდა. საქართველოსაკენ მომავალ ყარჩხა-ხანს აბას I-მა გიორგი სააკაძე მრჩევლად გამოაყოფა. შაჰის კარზე, ერთ-ერთი შეხვედრისას, აბას I-ს მთავარსარდლისთვის მიუმართავს, რომ მოურავთან თათბირის გარეშე არც ერთი საქმე არ გადაწყვიტა. ირანელთა საქართველოში შემოსევისას, საბაბად დაუდეს ქართლის გამგებლის - სიმონ-ხანისა და ისა-ხან ყორჩიბაშის ასულის, ჯაჰანბანუს ქორწილი. ირანელები მუხრანს დაბანაკდნენ. ისინი კახეთში შეჭრის სამზადისს შეუდგნენ.

ერთ დღეს გიორგი სააკაძე სანადიროდ ლოჭინის ხეობაში გავიდა. მან ირანელთა ბანაკისკენ მიმავალი შაჰის შიკრიკი შეამჩნია. მოურავის დახმარებით ირანელმა მოხელემ გაქცევა სცადა. მას გიორგის მხლებლები ნამოწინებენ და შეიპყრეს. გაჩრდილვისას შიკრიკი შაჰ-აბას I-ის წერილი აღმოაჩნდა, რომელიც ყარჩხა-ხანთან მიჰქონდა. მოურავმა შაჰის წერილი გახსნა. მასში ეწერა: „როდესაც გაუღებთ კახელებს, აპყარეთ ქართლი და ნამოახსნით, ხოლო მოურავს უღალატეთ, მოსჭერთ თავი და გამოიგზავნეთ“. გიორგი სააკაძემ შაჰის შიკრიკი მოკლა, ხოლო წერილის შესახებ უახლოესს ნრეს გაუმხილა. მოურავმა ფარულად დაიწყო აჯანყების სამზადისი. თავისი განზრახვა, პირველად, მან თავის ცოლის ძმას, ზურაბ ერისთავს გაუმჟღავნა. მალე გიორგიმ სხვა ქართველი ფეოდალებიც მიიმხრო. ირანელთა ლაშქრი, ამ დროს უკვე მარტყოფში იყო დაბანაკებული. გეგმის მიხედვით, ქართველები ირანელებს ყველა მხრიდან შემოეწყობოდნენ. თავად გიორგი სააკაძე ბანაკში იქნებოდა და შიგნიდან შეეცდებოდა მტრის რიგებში არეულობის შეტანას. დიდ მოურავს ჯარის სარდლობა უნდა ამოეხცა.



1625 წლის 25 მარტს ხარების ბრწყინვალე დღესასწაული თენდებოდა. ირანელთა ბანაკს ჯერ კიდევ ეძინა. აქაოქ ისმოდა გადაძახილები. უეცრად, გუშაგებმა განგამი ატყვეს. მათ ქართველთა რაზმების მოახლოება შენიშნეს. ყარჩხა-ხანმა სასწრაფოდ სარდლების შეკრება ბრძანა. მასთან გამოცხადდა გიორგი სააკაძე თავის მხლებლებთან ერთად. მოურავს ამ გადაწყვეტ მომენტში თან ახლდა თავისი ვაჟი ავთანდილი, პაატა ხერხეულიძე, ელია დიასამიძე და ერთგული მსახური პაპუნა ვაშაყაშვილი. მთავარსარდლი ყარჩხა-ხანი თავისი კარგიდან გამოვიდა.

გაჩუქოფისა და გაჩაჰლის ზქოდა



მას ცხენი მიართვეს, მაგრამ ამხედრებისთანავე გიორგი სააკაძემ შუბი ატყვრა ფერდში და იქვე გაათავა. ქართველები ყარჩხა-ხანთან მყოფ სხვა სარდლებსაც დაერივნენ. ირანელთა ბანაკი ერთბაშად აირია. მთავარსარდლის სიკვდილი მთელს ჯარს მიუღო. მტერმა გაქცევა დაიწყო. ქართველთა რაზმები სასტიკად უსწორდებოდნენ ირანელებს. ბრძოლის ველზე მყოფი 30 ათასი ირანელიდან, მხოლოდ 3 ათასი მეომარი გადაურჩა ქართველთა მახვილს. თურქი ისტორიკოსი იბრაჰიმ ფრევის თქმით: „ორმოცი წლის განმავლობაში ასეთი დიდი ზარალი შაჰს არ მოსვლიათ.“ რამდენიმე კვირაში მთელი ქართლ-კახეთი ირანელთა ურდოებისაგან გაიწმინდა. გიორგი სააკაძე თბილისის აღებასაც კი შეეცადა. ამასობაში, თურქეთიდან დაბრუნდა თეიმურაზ I და იგი გაერთიანებულ სამეფოს მეფედ დასვეს.

ამ დამარცხების შეტყობისას შაჰ-აბას I საშინლად განრისხებულა. „ირანის ლომის“ გულისწყრომა სასვებით გასაგები იყო, მან თავისი მრისხანე არმიის თითქმის მეთოხედი ერთ დღეს დაკარგა. აბას I-მა ქართველთა სამაგალითოდ დასჯა გადაწყვიტა. ახალ ლაშქარს თავისი სიძე ისა-ხან ყორჩიბაში ჩაუყენა. მტერს აჯანყებულთა დამარცხება და ქართლის განადგურება უკონდა დასახული მიზნად.

ყოზობაშემი 1625 წლის ივნისში, ქვემო ქართლში, მდინარე ალგეთის ხეობაში, შემოვიდნენ და მარაბდის ველზე დაბანაკდნენ. მტრის არმია 50 000-ს მეთოხარს შეადგენდა. ქართველები კოჯორ-ტაბახმელის მიდამოებში იყვნენ გამაგრებული და აქ ელოდნენ მტერს. ქართ-

ველთა ჯარი 20 000-ს მოლაშქრეს ითვლიდა. 1625 წლის ივნისის მინურულს მონინალმდეგნი ერთმანეთის პირისპირ იდგნენ. ისა-ხან ყორჩიბაშს მარაბდის ველის მიდამოები საგულდაგულოდ ჰქონდა გამაგრებული. მან მეთოფეთა რაზმი ოთხ რიგად განალაგა. პირველ რიგში ჩამუხლოლი მეომრები იდგნენ, მეორეში - ფეხზე მდგომნი, მესამეში - ცხენზე ამხედრებულინი და ბოლო რიგში, აქლემზე მჯდომნი მეთოფეთა მწკრივი იყო. მეთოფეთა ეს ნაწილი 12 000-ს მეთოხარს ითვლიდა. ირანელები ბრძოლისათვის მზად იყვნენ, ქართველები კი არ ჩქარობდნენ. ქართველთა ბანაკში, ბრძოლამდე რამდენიმე დღით ადრე, დიდი სამხედრო თათბირი გაიმართა. მას თეიმურაზ მეფე, გიორგი სააკაძე, ზურაბ არაგვის ერისთავი, სომხით-საბარათიანოს სარდალი ბარათა ბარათაშვილი, მანუჩარ ათაბაგი, თეიმურაზ და ქაიხოსრო მუხრანბატონები, ალათანგ ხერხეულიძე, ბაადურ ციციშვილი, იესე ქსნის ერისთავი, დავით ჯანდიერი ესწრებოდნენ. საერო პირთა გარდა შეკრებაზე მონაწილე იყვნენ: მროველი, რუსთველი, ალავერდელი, ხარჭაშენელი ეპისკოპოსები. ქართველთა სარდლობის მსჯელობის მთავარი საგანი ბრძოლის გამართვის ადგილი გახლდათ. აზრი ორად გაიყო. სააკაძე და ბაადურ ციციშვილი მოითხოვდ-

ნენ ქართველები შეტევაზე არ გადასულიყვნენ და მარაბდის ველზე თავად არ ჩასულიყვნენ. „დიდი მოურავი“ ამას იმით ხსნიდა, რომ დიდი სიცხის გამო, ქართველებს ყიზილბაშების წინააღმდეგ ბრძოლა გაუჭირდებოდათ, ვინაიდან, ეს უკანასკნელნი, სიცხეს შეჩვეულნი იყვნენ. ამასთანავე, სააკაძე თავის გადაწყვეტილებისას ეფუძნებოდა იმას, რომ ამ ხერხით ქართველები ბრძოლის ტაქტიკას თავად შესთავაზებდნენ მტერს. კოჯორ-ტაბახმელის ვინოებში ირანელები ვერ მოახერხებდნენ გამლას და ქართველთა მცირერიცხოვნობა თვალში საცემი არ იქნებოდა. დანარჩენი სარდლები კი მარაბდის ველზე ჩასვლასა და ირანელთა წინააღმდეგ გადაწყვეტი ბრძოლის გამართვის მომრეები იყვნენ. საბოლოოდ, ამ აზრმა სარდლებში მეტი მხარდაჭერა მოიპოვა. ქართველები მარაბდის ველზე ჩასასვლელად მოემზადნენ. წინა ღამით, მეომრები ეზიარნენ. ჯარი მროველმა ეპისკოპოსმა დალოცა.

30 ივნისს ქართველი მებრძოლები მარაბდის ველისაკენ დაიძრნენ. 1 ივლისს მონინალმდეგეები ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ. ირანელთა ჯარის ცენტრს ისა-ხან ყორჩიბაში სარდლობდა. მენინავე 12 000-იანი მეთოფებს კი თავისი სიმამაცის გამო „ყვითელ ჯიქად“ (სარუსასხანად) ნოდებულნი - ამირგუნ-ხანი ედგა სათავეში.

ბრძოლა გარიჟრაჟისას დაიწყო. ქართველთა სარდლობა თეიმურაზ მეფემ იკისრა. მან მენინავედ ცხენოსანი ლაშქარი განალაგა, მათ უკან ქვეითები. ქართველები სწრაფად გადავიდნენ შეტევაზე... ირანელი მეომრების 12

ათასმა თოფმა ერთდროულად იგრილა, რომელსაც ზარბაზნების ჯერი მოჰყვა. მარაბდის ველი ბოლოში გაეხვია. მოუხედავად ამისა, ქართველთა შეტევა არ შეფერხებულა. ისინი ყიზილბაშში მეთოფეებისკენ ჯიქურ გაემურნენ. ცხარე ბრძოლაში თვით ამირგუნ-ხანი დაიჭრა. ქართველებმა ცენტრს შეუტყეს... სარდლები, ეპისკოპოსები, უბრალო მეომრები, გალომებულნი ებრძოდნენ ყიზილბაშებს, სააკაძემ მუხრანადიც კი მოიხსნა, რომ ირანელებს თავზარი დასცემო-

დათ მისი ხილვით. ბრძოლა თითქოსდა ქართველების გამარჯვებით უნდა დასრულებულიყო. ჩვენი ჯარის ერთმა ნაწილმა ყიზილბაშების ქონების დანაწილებაც კი დაიწყო. ცხენოსანთა ჯარი ავთანდილ სააკაძისა და დავით ერისთავის სარდლობით მტრის გაქცეულ ნაწილებს გამოუდგა. ქართველთა ამ არაორგანიზებულმა ყიზილბაშთა მდგომარეობა საგრძნობლად შეამსუბუქა, ამას დაემატა ერთი მოულოდნელი ფაქტიც: აზერბაიჯანის ბეგლარბეგი შაჰნურდ-ხანი თავისი ჯარით გზაში შეყოვნდა და ბრძოლის ველზე სწორედ მაშინ გამოჩნდა, როცა ქართველები უკვე ომიხსნან დალოლები და ძალა გამოლულეები მტრის საბოლოო განადგურების ცდილობდნენ. შაჰნურდ-ხანის გამოჩენამ ბრძოლის სასწორი ყიზილბაშთა სასარგებლოდ გადახარა.

მარაბდის ველზე უკვე მწუხრი იდგა, როცა ქართველებმა უკან დახევა დაიწყეს. იმ დღეს 10 000 ქართველი ბრძოლის ველზე დაეცა. დაღუპულთა შორის იყვნენ სარდლები: დავით ჯანდიერი, თეიმურაზ მუხრანბატონი, ალათანგ ხერხეულიძე, ბაადურ ციციშვილი; ეპისკოპოსები: რუსთველი და ხარჭაშენელი; ცხრა ძმა ხერხეულიძე, ცხრა მამბელი, შვიდი ჩოლოყაშვილი. დამარცხების მოუხედავად, ქართველ მეომრებს ბრძოლა არ შეუნყვევტიათ. გიორგი სააკაძემ თავისი ჯარი პატარა ჯგუფებად დაჰყო და ყიზილბაშებს პარტიზანული ომი გამოუცხადა. ერთ-ერთი შეტაკებისას, ქართველებმა ქსნის ხეობაში, ყიზილბაშთა 12 000-იანი ლაშქარი განყვიტა, მხოლოდ მცირე ნაწილმა მოახერხა ქართველთა მახვილი გაქცეოდა. მარაბდის ველზე დამარცხების მოუხედავად, ქართველთა კიდევ ერთხელ აჩვენა შაჰ-აბას I-ს, რომ „გურჯების“ გადაგვარება, ამოწყვეტა, შეუძლებელი იყო. მარტყოფისა და მარაბდის ბოლმა სამუდამოდ გაჰყვა „ირანის ლომს“ საიქილოში. ხუმრობა ხომ არ იყო, მარტო 1625 წელს ირანელებმა მარტყოფის დახლოებით 27 ათასი მეომარი, მარაბდაზე - 14 000, ქსნის ხეობაში - 12 000, ე. ი. სულ 56 000 ჯარისკაცი დაკარგა. ეს ირანის არმიის თითქმის ნახევარი იყო.

ათასმა თოფმა ერთდროულად იგრილა, რომელსაც ზარბაზნების ჯერი მოჰყვა. მარაბდის ველი ბოლოში გაეხვია. მოუხედავად ამისა, ქართველთა შეტევა არ შეფერხებულა. ისინი ყიზილბაშში მეთოფეებისკენ ჯიქურ გაემურნენ. ცხარე ბრძოლაში თვით ამირგუნ-ხანი დაიჭრა. ქართველებმა ცენტრს შეუტყეს... სარდლები, ეპისკოპოსები, უბრალო მეომრები, გალომებულნი ებრძოდნენ ყიზილბაშებს, სააკაძემ მუხრანადიც კი მოიხსნა, რომ ირანელებს თავზარი დასცემო-



დათ მისი ხილვით. ბრძოლა თითქოსდა ქართველების გამარჯვებით უნდა დასრულებულიყო. ჩვენი ჯარის ერთმა ნაწილმა ყიზილბაშების ქონების დანაწილებაც კი დაიწყო. ცხენოსანთა ჯარი ავთანდილ სააკაძისა და დავით ერისთავის სარდლობით მტრის გაქცეულ ნაწილებს გამოუდგა. ქართველთა ამ არაორგანიზებულმა ყიზილბაშთა მდგომარეობა საგრძნობლად შეამსუბუქა, ამას დაემატა ერთი მოულოდნელი ფაქტიც: აზერბაიჯანის ბეგლარბეგი შაჰნურდ-ხანი თავისი ჯარით გზაში შეყოვნდა და ბრძოლის ველზე სწორედ მაშინ გამოჩნდა, როცა ქართველები უკვე ომიხსნან დალოლები და ძალა გამოლულეები მტრის საბოლოო განადგურების ცდილობდნენ. შაჰნურდ-ხანის გამოჩენამ ბრძოლის სასწორი ყიზილბაშთა სასარგებლოდ გადახარა.

მარაბდის ველზე უკვე მწუხრი იდგა, როცა ქართველებმა უკან დახევა დაიწყეს. იმ დღეს 10 000 ქართველი ბრძოლის ველზე დაეცა. დაღუპულთა შორის იყვნენ სარდლები: დავით ჯანდიერი, თეიმურაზ მუხრანბატონი, ალათანგ ხერხეულიძე, ბაადურ ციციშვილი; ეპისკოპოსები: რუსთველი და ხარჭაშენელი; ცხრა ძმა ხერხეულიძე, ცხრა მამბელი, შვიდი ჩოლოყაშვილი. დამარცხების მოუხედავად, ქართველ მეომრებს ბრძოლა არ შეუნყვევტიათ. გიორგი სააკაძემ თავისი ჯარი პატარა ჯგუფებად დაჰყო და ყიზილბაშებს პარტიზანული ომი გამოუცხადა. ერთ-ერთი შეტაკებისას, ქართველებმა ქსნის ხეობაში, ყიზილბაშთა 12 000-იანი ლაშქარი განყვიტა, მხოლოდ მცირე ნაწილმა მოახერხა ქართველთა მახვილი გაქცეოდა. მარაბდის ველზე დამარცხების მოუხედავად, ქართველთა კიდევ ერთხელ აჩვენა შაჰ-აბას I-ს, რომ „გურჯების“ გადაგვარება, ამოწყვეტა, შეუძლებელი იყო. მარტყოფისა და მარაბდის ბოლმა სამუდამოდ გაჰყვა „ირანის ლომს“ საიქილოში. ხუმრობა ხომ არ იყო, მარტო 1625 წელს ირანელებმა მარტყოფის დახლოებით 27 ათასი მეომარი, მარაბდაზე - 14 000, ქსნის ხეობაში - 12 000, ე. ი. სულ 56 000 ჯარისკაცი დაკარგა. ეს ირანის არმიის თითქმის ნახევარი იყო.

დათ მისი ხილვით. ბრძოლა თითქოსდა ქართველების გამარჯვებით უნდა დასრულებულიყო. ჩვენი ჯარის ერთმა ნაწილმა ყიზილბაშების ქონების დანაწილებაც კი დაიწყო. ცხენოსანთა ჯარი ავთანდილ სააკაძისა და დავით ერისთავის სარდლობით მტრის გაქცეულ ნაწილებს გამოუდგა. ქართველთა ამ არაორგანიზებულმა ყიზილბაშთა მდგომარეობა საგრძნობლად შეამსუბუქა, ამას დაემატა ერთი მოულოდნელი ფაქტიც: აზერბაიჯანის ბეგლარბეგი შაჰნურდ-ხანი თავისი ჯარით გზაში შეყოვნდა და ბრძოლის ველზე სწორედ მაშინ გამოჩნდა, როცა ქართველები უკვე ომიხსნან დალოლები და ძალა გამოლულეები მტრის საბოლოო განადგურების ცდილობდნენ. შაჰნურდ-ხანის გამოჩენამ ბრძოლის სასწორი ყიზილბაშთა სასარგებლოდ გადახარა.

მარაბდის ველზე უკვე მწუხრი იდგა, როცა ქართველებმა უკან დახევა დაიწყეს. იმ დღეს 10 000 ქართველი ბრძოლის ველზე დაეცა. დაღუპულთა შორის იყვნენ სარდლები: დავით ჯანდიერი, თეიმურაზ მუხრანბატონი, ალათანგ ხერხეულიძე, ბაადურ ციციშვილი; ეპისკოპოსები: რუსთველი და ხარჭაშენელი; ცხრა ძმა ხერხეულიძე, ცხრა მამბელი, შვიდი ჩოლოყაშვილი. დამარცხების მოუხედავად, ქართველ მეომრებს ბრძოლა არ შეუნყვევტიათ. გიორგი სააკაძემ თავისი ჯარი პატარა ჯგუფებად დაჰყო და ყიზილბაშებს პარტიზანული ომი გამოუცხადა. ერთ-ერთი შეტაკებისას, ქართველებმა ქსნის ხეობაში, ყიზილბაშთა 12 000-იანი ლაშქარი განყვიტა, მხოლოდ მცირე ნაწილმა მოახერხა ქართველთა მახვილი გაქცეოდა. მარაბდის ველზე დამარცხების მოუხედავად, ქართველთა კიდევ ერთხელ აჩვენა შაჰ-აბას I-ს, რომ „გურჯების“ გადაგვარება, ამოწყვეტა, შეუძლებელი იყო. მარტყოფისა და მარაბდის ბოლმა სამუდამოდ გაჰყვა „ირანის ლომს“ საიქილოში. ხუმრობა ხომ არ იყო, მარტო 1625 წელს ირანელებმა მარტყოფის დახლოებით 27 ათასი მეომარი, მარაბდაზე - 14 000, ქსნის ხეობაში - 12 000, ე. ი. სულ 56 000 ჯარისკაცი დაკარგა. ეს ირანის არმიის თითქმის ნახევარი იყო.



ახლახან საზეიმოდ აღინიშნა სახალხო დღესასწაული - „ბაკურიანობა - 2017“. სახალხო დღესასწაულის ფარგლებში პირველ დღეს სტუმრებს დიდებულმა უმასპინძლა. გიგანტური „სლალომი“ და „სნოუბორდი“ შეჯიბრი სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში გაიმართა. მეორე დღეს კი პარკის ტერიტორია ჰოკეის დაეთმო. დასამახსოვრებელი გამოდგა 85 წლის ბაკურიანელი სპორტმენის ნოდარ კოხანაშვილისა და 4 წლის ალექსანდრე ბუძიშვილის ასპარეზობა თხილამურებით სირბილში. უხუცესისა და ყველაზე პატარა მონაწილის გამოსვლას ემოციების გარეშე არ ჩაუვლია. აღსანიშნავია, რომ

სპორტის ამ სახეობაში მონაწილეობისათვის ადგილობრივებს წინონმინდელი სპორტსმენებიც შემოუერთდნენ. პარალელურ რეჟიმში ჩატარდა ასევე ტრამპლინიდან ხტომა და ასპარეზობები ექსტრემალური სპორტის სახეობებში. გამარჯვებულები გალა კონცერტის დაწყებამდე ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებელმა დიმიტრი ყიფიანმა და კულტურის სამსახურის უფროსმა მარინა ხუჯაძემ დააჯილდოვეს. საპრიზო ადგილების მიხედვით მონაწილეებს, ადგილობრივი მუნიციპალიტეტისაგან მედლები, სიგელები და თასები გადაეცათ. პირველ, მეორე და მესამე ადგილებზე გა-

ბაკურიანობა - 2017

სულმა მონაწილეებმა ვაუჩერებაც მიიღეს, რომლის გამოყენებაც მათ სპორტულ მალაზიაში შეეძლებათ. სპორტული შეჯიბრებები კულტურული ღონისძიებებით გაგრძელდა და გალა-კონცერტის ფონზე საზეიმოდ დაიხურა. ადგილობრივი თვითმმართველობის ინიციატივით ასევე „ბაკურიანობის“ დღესასწაულს ბორჯომის მუნიციპალიტეტში მცხოვრები მინდობით აღზრდაში მყოფი ბავშვებიც დაესწრნენ. მუნიციპალიტეტის გამგებელმა დიმიტრი ყიფიანმა ახალგაზრდებს პირადად უმასპინძლა და სიმბოლოური საჩუქრები გადასცა. დღესასწაულზე მყოფმა ზღაპრის გმირებმა კი მათ განწყობაზე იზრუნეს. „ბაკურიანობის“ დღესასწაულის მონაწილეებს ფოტო-გამოფენის დათვალიერების საშუალებაც ჰქონდათ. ფოტოგრაფ მარინა კარპის პროექტის ფარგლებში რუსმა და უკრაინელმა ფოტოგრაფებმა ბორჯომში მოგზაურობის ამსახველი თემატური ფოტოები გამოიფინეს. ცენტრალური პარკი, გოგირდოვანი აუზები, კუკუქა, ეიფელის ხიდი, დიდელი, კობტა-მიტარბი, სწორედ ის ადგილებია, რომლებიც ფოტოტურის ფარგლებში პროფესიონალი და მოყვარული ფოტოგრაფების ობიექტივში მოხვდნენ.

როგორც ორგანიზატორებმა აღნიშნეს ფოტო-ტური რიგით მეშვიდე საერთაშორისო ერთობლივი პროექტის ფარგლებში ზამთრის პირველი ტურია საქართველოში. მათივე განმარტებით, შემდეგი ლოკაცია სოფელი ტაბანყური იქნება. გადამღებები კომპანია „ჯეოტურისტის“ ორგანიზებით მიმდინარეობდა. „ბაკურიანობა 2017“-ის კულტურული ღონისძიებების ნაწილი ცნობილ ჯგუფებს „GOOFY LAND“ და „მგზავრებს“ დაეთმო. სპეციალურად მოწყობილ სცენაზე შემსრულებლებმა მსმენელისათვის კარგად ნაცნობი ჰიტები გააჟღერეს. ზეიმის მონაწილეებს „ბაკურიანობის“ დღესასწაული მიულოცეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის გამგებელმა დიმიტრი ყიფიანმა და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი ჩოგოვაძემ. ზეიმი გრანდიოზული ფიერვერკით დასრულდა. „ბაკურიანობის“ ზეიმი ტრადიციულია და ის წელს 36-ჯერ აღინიშნა. ორდღიან ზეიმს, ადგილობრივების გარდა, საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული სტუმრებიც შეუერთდნენ.

ლონდა ფილიპილი

მის შემდეგ ოდეს შენ შემყვარდი ალი ცეცხლისა მედება გულსა, ველარა გნახე, ვინვი, ვიდაგი, ვერ დავენაფე ტურფა მამულსა.

მამულო!

რო ჩვენი მკლავით, ქართველო გმირო, დღეს საქართველო იყოს ბრწყინვალე, ივერიისა სიყვარულისთვის

და ალაყენო შვილო, დიდებით, თამარ-შოთა და ოქროს დრო ძველი. პანია იყავ, ღმერთსა შეგწირე,

ნინოოზა ნინოქმინდაში

მიმდინარე წლის 27 იანვარს ქალაქ ნინოქმინდაში სხალთის მთავარეპისკოპოსის მეუფე სპირიდონის ლოცვა-კურთხევით, აღინიშნა წმ. ნინოს ხსენების დღე.

მესხური გამონათქვამები

- * სოფლიდან რომ ლარიბები ნავიდნენ, სოფლის მდიდრები მაშინვე გალარიბდებიანო. * ერთი ენის მცოდნესთან ასი ენაც რომ იცოდე, ერთის მეტი არ გამოგადგებაო.

თამაზ მელიქიძე

ბანცხადება შეგახსენებთ გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ საბანკო რეკვიზიტებს: GE72LBO113115795007000; ს/კ223100908.

მადლობა გაზეთის - „ლიტერატურული მესხეთის“ რედაქცია მადლობას უხდის შპს „არალის“ დირექტორს ბატონ ოთარ თათიშვილს



გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ მეოხია ლიანა მანჩხაშვილი

გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ელექტრონული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: WWW.SCR1.CO; fcook: ლიტერატურული მესხეთი

ფიზიკური პირი ავთანდილ ბერიძე სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირმა ჯიშკარიანის

რედაქციის ავთანდილ ბერიძე სარედაქციო საბჭო: მერაბ ბერიძე, დურმიშხან ბერიძე, ვახტანგ ინაური

ბაზეთი დაიბეჭდა შ.პ.ს. „საარის“ სტამბაში. მისამართი: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის 57. ტელ: 2 94-14-32

რედაქციის მისამართი: 0500, დაბა ასპინძა, თაშიშის ქ. № 3, ტელეფონები: მთავარი რედაქტორის: 599 97 95 24, lit.meskheti@gmail.com lit_meskheti@yahoo.com

ქ. თბილისში გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ შექმნა შეგიძლიათ თავისუფლების მოედანზე - ალ. პუშკინის ქ. №5-ის წინ, მეტრო „თავისუფლების“ გამოსასვლელთან და საქართველოს რაიონებში - საქარესის“ ჯიხურებში